თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკა კვარაცხელია

სიგმა - აქტიური ნაერთების მოქმედება ციტოკინების სეკრეციაზე და მონონუკლეური უჯრედების ტრანსკრიპციულ აქტივობაზე

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
14.00.34 ალერგოლოგია-იმუნოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ბოილ. მეცნ. დოქტორი
პროფესორი დ. მიქელაძე

თბილისი
2006

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 4
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა 10
1.1 სიგმა-რეცეპტორების კლასიფიკაცია, ლოკალიზაცია და მისი ლიგანდები 10
1.2 სიგმა-რეცეპტორის როლი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში 13
1.3 სიგმა-რეცეპტორებით განპირობებული ანთების საწინააღმდეგო და იმუნომამოდულირებელი მოქმედება 21
1.4 სიგმა-რეცეპტორების მოქმედების შესაძლო მექანიზმები 28
1.5 ტრანსკრიპციის მარეგულირებელი ფაქტორები - მოკლე მიმოხილვა და მათი როლი ადამიანის მონონუკლეური უჯრედების მიერ ციტოკინების სეკრეციაზე. 35
თავი II ბამოყენებული მასალა და მეთოდები 42
თავი III მიღებული შედეგები და მათი განხილვა .. 46
3.1 სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ადამიანის T- ლიმფოციტების Jurkat –ის ხაზის უჯრედების მიერ IL-4-ის, γ-ინტერფერონის და აზოტის ოქსიდის სპონტანურ სეკრეციაზე ... 46
3.2 სიგმა-აქტიური ნაერთის დექსტრორფანის და გლუტამატის რეცეპტორის აგონისტების გავლენა ადამიანის T-ლიმფოციტების Jurkat –ის ხაზის უჯრედების მიერ ციტოკინების (IL6, IL-8, IL-10) და აზოტის ოქსიდის სპონტანურ სეკრეციაზე 53
3.3 სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ადამიანის T-ლიმფოციტების მიერ ციტოკინების (IL-8, IL-10) და აზოტის ოქსიდის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სეკრეციაზე 61

34 სიგმა-აქტიური ნაერთების გავლენა
ტრანსკრიპციის მარეგულირებელი
ფაქტორების აქტივობაზე ადამიანის T ლიმფოციტებში 72
დასკვნები 80
ლიტერატურის სია 82

შესავალი

თემის აქტუალობა სიგმა-ნაერთები და მათი მოლეკულური სამიზნე – სიგმა-რეცეპტორი ეუკარიოტული უჯრედის ერთ-ერთ ამოუცნობ და მეტად საინტერესო სისტემას წარმოადგენს მიუხედავად იმისა, რომ სიგმა-რეცეპტორის შესწავლა საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს, მისი მოქმედების მოლეკულური მექანიზმები დღეისათვის დადგენილი არ არის სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედების სამიზნე - სიგმა-რეცეპტორი პირველად ცენტრალურ ნერვულ სისტემაში იყო აღმოჩენილი და დახასიათებული, როგორც ოპიატური ბუნების მქონე ფსიქოტომიმეტური ნაერთის N-ალლილნორმეტაზოცინის (SKF 10047) დამაკავშირებელი ცილა (Martin et al , 1976) შემდგომში გაირკვა, რომ სიგმა-რეცეპტორი ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის ორგანიზმში და გვხვდება ღვიძლში, თირკმელებში, გულში, სისხლში, პლაცენტაში და სხვა ორგანოებში (Hanner et al , 1996, Seth et al., 1997)

ენდოგენური სიგმა-ოპიატური ლიგანდი დღეისათვის იდენტიფიცირებული არ არის, მაგრამ სხვადასხვა ტიპის ფარმაკოლოგიურ ნივთიერებებთან მოქმედების მიხედვით სიგმა-რეცეპტორებს ყოფენ ორ ჯგუფად სიგმა-1 და სიგმა-2 რეცეპტორებად როგორც აღვნიშნეთ, ამ რეცეპტორთა უჯრედშიდა ტრანსდუქციული სისტემა დაუდგენელია სავარაუდოდ, სიგმა აქტიური ნაერთები, გადის რა უჯრედის მემბრანაში, უკავშირდება ენდოპლაზმურ რეტიკულუმზე არსებულ რეცეპტორს ამის შემდგომ რეცეპტორი იწყებს ტრანსლოცირებას პლაზმური მემბრანისკენ და მოქმედებს G ცილაზე (Monassier et al , 2002) შედეგად ხდება ფოსფოლიპაზა C-ს გააქტივება, რომელიც აძლიერებს ინოზიტოლ-3-ფოსფატის სეკრეციას და შესაბამისად კალციუმის იონების ქვანტურ გამოთავისუფლებას ენდოპლაზმური რეტიკულუმიდან ამ სისტემის აქტივაცია ტრანზიტორული ხასიათისაა, ვინაიდან სიგმა-რეცეპტორი დესენსიბილიზდება

სიგნალის ტრანსდუქციის პროცესში (Ela et al ,1994, Novakova et al , 1998)

სიგმა-რეცეპტორზე მოქმედი ნაერთების (სიგმა-ლიგანდების) დაყოფა აგონისტებად და ანტაგონისტებად პირობით ხასიათს ატარებს მიჩნეულია, რომ სიგმა-1 რეცეპტორის აგონისტებს წარმოადგენს პენტაზოცინი, დექსტრომეტორფანი, SA4503, ხოლო სიგმა-2 აგონისტს კი - DTG, შერეულ ანუ ორიენ რეცეპტორის აგონისტს მიეკუთვნება SKF 10047 სიგმა-1 ტიპის ანტაგონისტებს მიეკუთვნება ჰალოპერიდოლი, ხოლო შერეულ სიგმა-1/სიგმა-2 ანტაგონისტებს - რიმკაზოლი, NE-100, BMY 14802, BD 1063, პანამეზინი ზოგიერთ შემთხვევებში სიგმა აგონისტების და ანტაგონისტების მოქმედება იდენტურ ხასიათს ატარებს, ამიტომ ამ ფარმაკოლოგიური პრეპარატების კლასიფიკაცია დაზუსტებას მოითხოვს

სიგმა-ლიგანდებს ფარმაკოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრი აქვთ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ეფექტური აღმოჩნდა შიზოფრენიის სამკურნალოდ (Huber et el , 1999) გარდა ამისა, გაირკვა, რომ სიგმა-ლიგანდები ამცირებს სტრესით გამოწვეულ მოტორულ დისფუნქციებს სიგმა-აგონისტები (SKF 10047, SA 4503) ზრდის დიდი ნახევარცფეროების ქერქის ფრონტალურ წილში აცეტილქოლინის რაოდენობას, რის გამოც მათ გააჩნიათ ანტი-ამნეზიური ეფექტი (Matsuno et al , 1993)

სიგმა-ლიგანდები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დეპრესიის დროს (Bunney et al., 1965; Trullas et al , 1990) სიგმა-რეცეპტორის ზოგიერთი აგონისტი, მაგალითად, (+)-პენტაზოცინი და 4-(N–ბენზილპიპერიდინ-4-ილ)-4-იოდობენზამიდი (4-IBP) ანესთეზირებულ ვირთაგვებში აძლიერებს სეროტონინერგულ ტრანსმისიას (Bermack at al , 2001)

დეპრესიის ექსპერიმენტულ მოდელზე ნაჩვენები იქნა ნეირო-აქტიურ სტეროიდებსა და სიგმა-1 რეცეპტორს შორის ურთიერთქმედება DHEA სულფატმა და პრეგნენოლონმა იძულებითი ცურვის ექსპერიმენტებში მნიშვნელოვნად შეამცირეს უმოძრაობის

ხანგრძლივობა ვირთაგვებში ეს ეფექტი იბლოკებოდა სიგმა-1 რეცეპტორის სელექტიური ანტაგონისტით NE-100-ით (Reddy et al, 1998) პროგესტერონი ბლოკავდა სიგმა-1 აგონისტის იგმეზინის (Urani et al, 1999) ან SKF-10047-ის ანტიდეპრესიულ მოქმედებას (Urani et al, 2001) ეს მონაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ნეიროაქტიური სტეროიდები და სიგმა-1 რეცეპტორის აგონისტები მიმართულია ერთიდაიგივე სამიზნესკენ და ნეიროაქტიური სტეროიდების ანტიდეპრესიული მოქმედება განპირობებულია სიგმა-1 რეცეპტორთან ურთიერთქმედებით

სიგმა-რეცეპტორების ძლიერი ექსპრესია მიმდინარეობს სიმსივნური ზრდის პროცესში სიგმა-ანტაგონისტები იწვევს სარძევე ჯირკვლის და სწორი ნაწლავის ადენოკარცინომული უჯრედების აპოპტოზს (Brent et al, 1995), რის გამოც მათ დიდი პერსპექტივა აქვთ ონკოლოგიური პათოლოგიების თერაპიაში

სიგმა-რეცეპტორის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გაიზარდა, რაც ცნობილი გახდა, რომ სიგმა-1 აქტიური ნაერთები აინჰიბირებს ლიმფოციტების მიტოგენ-დამოკიდებულ პროლიფერაციას (Casselas et al, 1994)

სიგმა-ლიგანდი SR 31747A იწვევს T-ლიმფოციტების სუპრესიას გარდა ამისა, იგი აძლიერებს LPS-ით და სტაფილოკოკური ენდოტოქსინიB (SEB)-თი გააქტივებული იმუნური სისტემის უჯრედების მიერ ანთების საწინააღმდეგო ციტოკინის IL10-ის სინთეზს და ამავე დროს მნიშვნელოვნად თრგუნავს ანთებითი ციტოკინის TNFα-ს სეკრეციას (Derocq et al, 1995). როგორც ცნობილია, ეს ორი ციტოკინი და მათი დისბალანსი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისეთი აუტოიმუნური დაავადებების პათოგენეზში, როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, რევმატოიდული ართრიტი, ფსორიაზი და სხვა ერიფერიულ ლეიკოციტებში და სპლენოციტებში აღმოჩენილია არაჰალოპერიდოლ მგრძნობიარე სიგმა-რეცეპტორი, რომელიც მონაწილეობს იღების იმუნომოდულაციაში (Whitlock et al, 1996) სიგმა-აგონ-

ისტი პენტაზოცინი ამცირებს NK უჯრედების აქტივობას, ხოლო ანტაგონისტი ჰალოპერიდოლი იწვევს სპლენოციტებში ConA-სტიმულირებული γIFN-ის პროდუქციის შემცირებასა და ნეიტროფილების ფაგოციტური აქტივობის დათრგუნვას სიგმა-ლიგანდების მიერ გამოწვეული იმუნოსუპრესია, რომელიც მიმდინარეობს ამ ნივთიერებების ანთების საწინააღმდეგო მოქმედების ფონზე, იდეალურს ხდის მათ გამოყენებას აუტოიმუნური დაავადებების სამკურნალოდ

ამრიგად, ნათელია, რომ სიგმა-აქტიური ნაერთები ფარმაკოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრით ხასიათდება და შესაბამისი რეცეპტორების საშუალებით ჩართულია უჯრედების ძირითადი მეტაბოლური პროცესების რეგულაციაში

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სიგმა-რეცეპტორის მოქმედების მოლეკულური მექანიზმების შესწავლა ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ასევე მნიშვნელოვანია დავადგინოთ სიგმა ლიგანდების დექსტრორფანის, პენტაზოცინის, ჰალოპერიდოლის და სხვ, როლი ციტოკინების რეგულაციაში გენების ტრანსკრიპციის დონეზე, რაც შესაძლებელს გახდის ერთის მხრივ, დადგინდეს იმუნურ უჯრედებში ანთების საწინააღმდეგო და ანტებითი გენების ექსპრესიის მექანიზმები, ხოლო მეორე მხრივ, ანტებითი პროცესების ფარმაკოთერაპიის ოპტიმიზაციის მიზნით, დაისახოს სიგმა-აქტიური ნაერთების სამკურნალო პროცესში ინტერვენციის გზები

სამუშაოს მიზანი და ამოცანები. სამუშაოს ძირითადი მიზანი იყო ზოგიერთი სიგმა-აქტიური ნაერთის მოქმედების მოლეკულური მექანიზმების დადგენა და ამ ნაერთების იმუნომოდულატორული თვისებების შესწავლა ამ მიზნის მისაღწევად ჩვენს წინაშე დასმული იყო შემდეგი ამოცანები

1 სიგმა1-აქტიური ნაერთების მოქმედების შესწავლა ადამიანის ლიმფოიდური Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ ციტოკინების (IL-4, γIFN, IL-6, IL8, IL10) სპონტანურ სეკრეციაზე,

2 სიგმა1-აქტიური ნაერთების მოქმედების შესწავლა ანტი-CD3-ით გააქტიებული Jurkat-ის ხაზის უჯრედების და პერიფერიული სისხლიდან მიღებული T-ლიმფოციტების მიერ ციტოკინების (IL-6, IL-8, IL-10) სეკრეციაზე,

3 სიგმა1-აქტიური ნაერთების მოქმედების შესწავლა Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ აზოტის ოქსიდის სპონტანურ და ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სინთეზზე

4 სიგმა1-აქტიური პრეპარატების მოქმედების შესწავლა ადამიანის პერიფერიული სისხლიდან მიღებულ ლიმფოციტებში ციტოკინების მაკოდირებელი გენების ტრანსკრიპციულ აქტივობაზე

მიღებული შედეგების მეცნიერული სიახლე. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად პირველად იქნა დადგენილი ზოგიერთი სიგმა-აქტიური ნაერთის, კერძოდ, დექსტრორფანის, ჰენტაზოცინის და ჰალოპერიდოლის იმუნომოდულატორული მოქმედება

განსაზღვრულ იქნა ამ ნაერთების მოქმედება იმუნური უჯრედების მიერ აზოტის ოქსიდის სეკრეციის ინტენსივობაზე პარალელურად განისაზღვრა Jurkat-ის უჯრედების და ადამიანის პერიფერიული სისხლიდან მიღებული ლიმფოციტების დნმ-ის ენჰანსერულ და პრომოტორულ უბნებზე ტრანსკრიპციის ფაქტორების NF-kB, ATF-2 და c-Fos დაკავშირების უნარი მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოვლინდა კორელაცია ანთებითი ციტოკინების სეკრეციას და გარკვეული ტიპის ტრანსკრიპციული ფაქტორის მოქმედებას შორის

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომში მიღებულ მონაცემებს, სხვადასხვა ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე სიგმა-აქტიური პრეპარატების გენების ექსპრესიის დონეზე მოქმედების შესახებ, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს აუტოიმუნური დაავადებების ეტიო-პათოგენეზური საფუძვლების გარკვევაში

მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ავხსნათ სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედების მოლეკულური მექანიზმები, გავერკვეთ ლიმფოციტების გენური აქტივობის რეგულაციის პრინციპებში, დავსახოთ სიგმა-აქტიური პრეპარატების გამოყენების გზები ანთებითი პათოლოგიების სამკურნალოდ

თავი I . ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სიგმა - რეცეპტორების კლასიფიკაცია, ლოკალიზაცია და მისი ლიგანდები

სიგმა-რეცეპტორი პირველად აღწერილ იქნა Martin et al მიერ 1976 წელს, როგორც ოპიოიდური რეცეპტორების ქვეტიპი, ვინაიდან მას აქვს უნარი მაღალი აფინურობით, სელექტიურად დაიკავშიროს როგორც ოპიატები, ასევე ფსიქოაქტიური პრეპერატები და სტეროიდები (Martin et al , 1976)

სიგმა-რეცეპტორი პირველად აღმოჩენილი და დახასიათებული იყო ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, როგორც ოპიატური ბუნების მქონე ფსიქოტომიმეტური ნაერთის N-ალლილნორმეტაზოცინის (SKF 10047) დამაკავშირებელი ცილა (Martin et al , 1976) შემდგომში გაირკვა, რომ სიგმა-რეცეპტორი ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის ორგანიზმში და გვხვდება ღვიძლში, თირკმელებში, გულში, სისხლში, პლაცენტაში და სხვა ორგანოებში (Hanner et al ,1999) ისინი განთავსებულნი არიან, როგორც უჯრედის შიგნით ენდოპლაზმურ რეტიკულუმზე, ასევე პლაზმურ მემბრანაზე (Wilke et al., 1999, Dussossoy at al , 1999)

სიგმა-რეცეპტორების ფარმაკოლოგიურმა იდენტიფიკაციამ აჩვენა, რომ მათ აქვთ უნარი მაღალი აფინურობით დაიკავშირონ სხვადასხვა პრეპარატები, მათ შორის, ფსიქომიმეტიკური ბენზომორფანები (ისეთი, როგორიცაა, პენტაზოცინი, N-ალილნორმეტაზოცინი) და მათი წარმოებულები, კოკაინი და მისი წარმოებულები, ამფეტამინი, ზოგიერთი ნეიროლეპტიკი, ანტიკონვულსანტები, ციტოქრომ P 450-ის ინჰიბიტორები, მონოამინ ოქსიდაზის ინჰიბიტორები, ჰისტამინერგული რეცეპტორების ლიგანდები, ნეიროპეპტიდ Y-ის პეპტიდები (NPY) და აგრეთვე ზოგიერთი სტეროიდები (Maurice et al , 1997, 1999)

სიგმა რეცეპტორების კლასიფიკაცია ეფუძნება მათ სელექტიურობასა და მოლეკულურ მასას ამ რეცეპტორების სულ ცოტა ორი ტიპი იქნა იდენტიფიცირებული სიგმა-1 და სიგმა-2 (Quirion at al , 1992) სიგმა1 რეცეპტორს გააჩნია მაღალი აფინურობა და სტერეოსელექტიურობა SKF-10,047–ის (+)იზომერებთან, პენტაზოცინთან და ციკლაზოცინთან, მაშინ როცა სიგმა-2 უბნები აელენენ ნაკლებ აფინიტს და საწინააღმდეგო სტერეო-სელექტიურობას

სიგმა-1 დამაკავშირებელი უბანი იზოლირებულ იქნა თაგვის და ვირთხის თავის ტვინიდან, ზღვის გოჭის ღვიძლიდან და ადამიანის პლაცენტიდან (Hanner 1996, Seth 1997, Seth 1998, Kekuda 1996)

ადამიანის სიგმა რეცეპტორის გენი განთავსებულია მე-9 ქრომოსომაზე და შედგება ოთხი ექსონისაგან და სამი ინტრონისაგან (Quirion 1992) სიგმა-1 რეცეპტორი არის 26 kDa პროტეინი კლონირების შედეგად გაირკვა, რომ ამ ცილის ამინომჟავურ თანმიმდევრობას არ გააჩნია მსგავსება ძუძუმწოვართა არც ერთ ცნობილ ცილასთან, მაგრამ ნაწილობრივ (დაახლოებით 30%-ით) ჰომოლოგიურია სოკოების იმ ცილებთან, რომლებიც მონაწილეობენ სტერინის (sterol-a) (სოკოვანი სტეროლ იზომერაზა) სინთეზში სიგმა-1 რეცეპტორი შეიცავს 223 ამინომჟავას და ძირითადად განთავსებულია ენდოპლაზმურ რეტიკულუმზე სიგმა-1 რეცეპტორს სავარაუდოდ აქვს ერთი ტრანსმემბრანული დომენი

სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდებია კოკაინი, (+)-ბენზო-მორფანები, ისეთი როგორიცაა (+)-პენტაზოცინი და (+)-ალილ-ნორმეტაზოცინი (+)SKF-10,047) და ენდოგენური ნეიროსტეროიდები, ისეთი, როგორიცაა პროგესტერონი და პრეგნენოლონის სულფატი.

სიგმა-2 რეცეპტორი არის 18-22 kDa პროტეინი, რომელიც ჯერ არ არის კლონირებული, თუმცა ფარმაკოლოგიური მახასიათებლები და ქსოვილური განლაგება შესწავლილია სპეციალურ მონიშნული რადიოლიგანდების საშუალებით ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა

Lu28-179, BD1008, იფენპროდილი, ელიპროდილი ან იბოგაინი სიგმა-2 რეცეპტორის ლიგანდებია (Kekuda et al , 1996, Prasad et al , 1998)

დღეისათვის არსებული ბიოქიმიური და ფარმაკოლოგიური კვლევის შედეგები მიუთითებს სიგმა რეცეპტორის მრავალი ქვეტიპის არსებობაზე ცნობილი გახდა სიგმა-3 უბნის არსებობა ზღვის გოჭებისა და ვირთაგვების თავის ტვინში, რომელიც შედარებით დაბალი აფინენტობით ხასიათდება ბოლო დროს აღმოჩენილ იქნა ახალი უბანი, რომელიც იკავშირებს ყველა სიგმა ლიგანდს ორი გამონაკლისის გარდა· ჰალოპერიდოლი და 1,3-დი(2-ტოლილ) გუანიდინისა (Bowen et al , 1995, Myers et al , 1994)

სიგმა-რეცეპტორი აღმოჩენილია ორგანიზმის სხვადასხვა ქსოვილში, სხვადასხვა სიმკვრივით ყველაზე დიდი კონცენტრაციით გამოვლენილია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და შემდეგ პერიფერიულ ქსოვილებში – გულში, ღვიძლში, ელენთაში, ენდოკრინულ ორგანოებში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, ფილტვებში (Whitlock et al., 1996, Wolfe et al , 1989, Roman et al , 1989, Hellewell et al., 1994) უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეცეპტორები დიდი რაოდენობითაა გამოვლენილი სიმსივნურ უჯრედებში აღმოჩენილია სიგმა-2 რეცეპტორის დიდი რაოდენობით ექსპრესია სიმსივნურ უჯრედებში, მათ შორის, სარძევე ჯირკვლის, ნერვული სისტემის სიმსივნეები, ფილტვის სიმსივნეები, წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნეები, მელანომა (Hellewell et al , 1994, Harada et al , 1994). მრავალრიცხოვანი დაკვირვებების საფუძველზე დადგენილია, რომ სხვადასხვა ქიმიური სტრუქტურის და რეცეპტორული სელექტიურობის მრავალი ფარმაკოლოგიური აგენტი ურთიერთქმედებს სიგმა რეცეპტორთან, რაც ართულებს ამ რეცეპტორის ფუნქციის განსაზღვრას მრავალი სიგმა რეცეპტორის ლიგანდი ურთიერთქმედებს აგრეთვე სხვა რეცეპტორთან, რაც ართულებს ამ ლიგანდების ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური და ქცევითი ეფექტების ახსნას

1.2. სიგმა-რეცეპტორის როლი ცენტრალურ ნერვულ სისტემაში

სიგმა-რეცეპტორები მონაწილეობენ ცენტრალური ნერვული სისტემის მნიშვნელოვან ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ პროცესებში სავარაუდოა მათი მონაწილეობა სხვადასხვა ნეიროტრანსმიტერული სისტემის მოდულაციაში, რის გამოც ეს რეცეპტორები ჩართულია ქცევით ეფექტებში

ნეიროსტეროიდები ფუნქციონერებს როგორც ალოსტერული მოდულატორები $GABA_A$, NMDA, ქოლინერგული რეცეპტორებისა, რის შედეგადაც ნეიროსტეროიდები ჩართულნი არიან ისეთ პათოფიზიოლოგიურ პროცესებში, როგორიცაა ნეიროპლასტიურობა, სტრესული პასუხები, დეპრესია, ეპილეფსია, დასწავლის პროცესები და მეხსიერების ფორმირება (Maurice et al , 2001)

სავარაუდოა, რომ ზუსტად ნეიროაქტიური სტეროიდები წარმოადგენენ სიგმა რეცეპტორის ენდოგენურ ლიგანდებს და რომ ამ სტეროიდების მოქმედება განპირობებულია სიგმა-1 რეცეპტორებით თუმცა დღემდე არც ერთი ენდოგენური ლიგანდი არ არის ბოლომდე იდენტიფიცირებული (Su et al, 1990, 1988) Su და თანამშრ აჩვენეს, რომ სხვადასხვა სტეროიდებიდან ყველაზე ძლიერი ინჰიბიტორი სიგმა დაკავშირებისა [3H](+)-SKF-10,047-თან არის პროგესტერონი თავის ტვინში და [3H]-ჰალოპერიდოლი ზღვის გოჭის ელენთაში ტესტოსტერონი, დეზოქსიკორტიკოსტერონი და პრეგნენოლონის სულფატი ასევე აინჰიბირებდნენ in vitro [3H](+)-SKF-10,047 ბმას (Maurice at al, 1996)

გარდა ამისა, ბევრი სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდი, მათ შორის ჰალოპერიდოლი, კარბეტაპენტანი, DTG, (+)-3-PPP და რიმკაზოლი ძლიერად თრგუნავდა [3H]-პროგესტერონის დაკავშირებას სიგმა რეცეპტორთან ვირთაგვის ღვიძლის მიკროსომალურ მემბრანულ პრეპარატებში (Yamada et al, 1994)

ძალიან მცირე სამუშაოა ნატარებული სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდების მოქმედებაზე GABA-ერგულ სისტემასთან ამ კვლევების მონაცემებიდან გამომდინარე (+)SKF-10,047 თრგუნავს K+-ინდუცირებულ [3H]GABA-ს გაჟონვას ვირთაგვას substantia nigra–ს ქსოვილებში (Smith et al, 1991), დექსოქსადროლი აძლიერებდა GABA-ინდუცირებულ ინჰიბირებას ანესთეზირებული ვირთაგვების ნეირონებში (Wang , 1989) აქედან გამომდინარე შესაძლებელია სიგმა რეცეპტორების აგონისტები, პრეგნენოლონის და DHEA–ს მსგავსად, მოქმედებენ როგორც GABAa–რეცეპტორის უარყოფითი მოდულატორები, თუმცა ეს ჰიპოთეზა საჭიროებს შემდგომ, უფრო დეტალურ შესწავლას (Maurice et al, 1999)

სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდები ახდენენ იონოტროპული NMDA (N-მეთილD-ასპარტატი) რეცეპტორებით განპირობებული სხვადასხვა პასუხების მოდულაციას NMDA რეცეპტორი განეკუთვნება გლუტამატის რეცეპტორების ოჯახს გლუტამატი წარმოადგენს ძირითად ექსაიტატორულ ნეიროტრანსმიტერს ძუძუმწოვართა თავის ტვინში, რომელიც მონაწილეობს ცნს-ის პრაქტიკულად ყველა ფუნქციაში, დაწყებული პირველადი აღქმიდან დამთავრებული გვიანი უნარებით NMDA რეცეპტორებს აქვთ გლუტამატური და გლიცინური (D–სერინული) დაკავშირების საიტები, აგრეთვე NMDA რეცეპტორის არაკონკურენტული ანტაგონისტის ფენციკლიდინური დაკავშირების საიტი

იმ მიზნით, რომ გამოეკვლიათ სიგმა რეცეპტორის ლიგანდების მამოდულირებელი მოქმედება NMDA-რეცეპტორებზე, შესწავლილ იქნა in vivo H-N-[1-(2-თიენილ)ციკლოჰექსილ]პიპერიდინის (3H-TCR) დაკავშირება ვირთაგვის კულტივირებულ ნერვულ უჯრედებში 3H-TCR ბმა ინჰიბირდებოდა NMDA-რეცეპტორის სელექტიური ანტაგონისტით D-ამინო-5-ფოსფონოვალერიანის მჟავით და Mg2+-ით MK-801 აღმოჩნდა 3H-TCR ბმის კონკურენტული ინჰიბიტორი, ხოლო ჰალოპერიდოლი კი არაკონკურენტული ინჰიბიტორი

ამ მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ სიგმა ლიგანდები ახდენს NMDA-რეცეპტორების მოდულირებას არაპირდაპირი გზით, სიგმა-1 რეცეპტორების საშუალებით (Yamamoto at al, 1995)

ნაჩვენები იქნა, რომ სიგმა-1 რეცეპტორების აგონისტებს შეუძლიათ NMDA–თი განპირობებული სხვადასხვა პასუხების გაძლიერება, სიგმა-1 ანტაგონისტები თავისთავად მოკლებულა ეფექტებს, მაგრამ ბლოკავს აგონისტების გაძლიერებულ მოქმედებას სელექტიური სიგმა-ლიგანდების დაბალი დოზები, სიგმა-1 აგონისტები, მაგალითად, +პენტაზოცინი, იგმეზინი, BD-737, JO-1784, L-687,384 აძლიერებს NMDA-რეცეპტორის გააქტიებით გამოწვეულ პირამიდული ნერვული უჯრედების პასუხებს ვირთაგვის ჰიპოკამპში (Bergeron 1995)

ზოგიერთ ნეიროაქტიურ სტეროიდს შეუძლია NMDA-რეცეპტორებით გამოწვეული პასუხების მოდულირება სიგმა რეცეპტორის საშუალებით. ამას ადასტურებს Monnet et al (Monnet et al, 1995)-ის კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც DHEA აძლიერებს, პრეგნენოლონის სულფატი კი ასუსტებს ნორადრენალინის NMDA-ინდუცირებულ გამოთავისუფლებას ჰიპოკამპში და რომ ეს ეფექტი განპირობებულია სიგმა რეცეპტორით მის კვლევებში სიგმა-რეცეპტორის აგონისტები BD-737 და +პენტაზოცინი იწვევდა NMDA-ინდუცირებული ნორადრენალინის დოზადამოკიდებულ გამოთავისუფლებას ვირთაგვის ჰიპოკამპში სიგმა ანტაგონისტები ჰალოპერიდოლი და BD-1063 არ ახდენდა გავლენას NMDA–ინდუცირებულ პასუხზე, მაგრამ დოზადამოკიდებულად თრგუნავდნენ (+)-პენტაზოცინის გაძლიერებულ ეფექტს NMDA – ინდუცირებულ ნორადერენალინის გამოთავისუფლებაზე NE-100-ბლოკავდა (+)-პენტაზოცინის და BD-737 –ის გაძლიერებულ მოქმედებას (Monnet FP. at al, 1996)

ამრიგად, სიგმა რეცეპტორებს შეუძლია NMDA რეცეპტორებით გამოწვეული სასიგნალო ტრანსდუქციის მოდელირება. ამასთან, როგორც ნაჩვენები იყო, მათი ეფექტები შეიძლება

შეიცვალოს დოზადამოკიდებულად მაგალითად, ვირთაგვის პირამიდულ უჯრედებში სიგმა რეცეპტორის სელექტიური ლიგანდი SR31742A დაბალი კონცენტრაციით აძლიერებდა, ხოლო მაღალი კონცენტრაციით თრგუნავდა NMDA-თი გამოწვეულ პასუხებს (Liang et al, 1998)

სგმა-რეცეპტორების ლიგანდები გავლენას ახდენს ქოლინერგულ ნეიროტრანსმისიაზე. სიგმა-ლიგანდები (+)-3-(3-ჰიდროქსიფენილ)-N(1-პროპილ) პიპერიდინი და 1,3-დი(2-ტოლილ) გუანიდინი (DTG) ზრდიდა აცეტილქოლინის უჯრედშიდა კონცენტრაციას ვირთაგვის თაგის ტვინის შუბლის წილში სიგმა- ლიგანდები (+-)პენტაზოცინი და (+)-SKF-10047 და DTG აგრეთვე ზრდიდა აცეტილქოლინის უჯრედგარე დონეს ვირთაგვის ქერქის ფრონტალურ ნაწილში. (+)-SKF - 10047 და DTG - ის ეს ეფექტი მნიშნელოვნად ითრგუნებოდა სიგმა რეცეპტორის ანტაგონისტის ჰალოპერიდოლის ერთდროული შეყვანის შემთხვევაში, მაშინ როცა NMDA რეცეპტორის კონკურენტული ანტაგონისტი (+—)-3-(2-კარბოქსიპიპერაზინ-4-ილ)-პროპილ-1-ფოსფონის მჟავა არ ახდენდა გავლენას (+) SKF-10047–ინდუცირებულ აცეტილქოლინის კონცენტრაციის ზრდაზე (Matsuno et al , 1993)

სიგმა-1 რეცეპტორის ქცევითი ეფექტები ბოლომდე დადგენილი არ არის საკმარისია მათი მონაწილეობა მეხსიერების პროცესებში, სტრესსა და დეპრესიაზე პასუხებში, ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მექანიზმებში და სხვა.

სიგმა-1 რეცეპტორების მოდულატორული მოქმედება გლუტამატერგულ და ქოლინერგულ ტრანსმისიაზე გულისხმობს მათ ჩაბმას მეხსიერების და დასწავლის პროცესებში არსებობს მონაცემები იმისა, რომ NMDA-რეცეპტორები მონაწილეობენ სხვადასხვა ფორმის სინაპსური პლასტიურობის ინდუცირებაში, მათ შორის ხანგრძლივ პოტენციაციაში, რისი წყალობითაც ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დასწავლის პროცესებსა და მეხსიერების ფორმირებაში (Collingridge et al, 1987, Izquierdo 1991)

სიგმა-1 რეცეპტორები დადებით გავლენას ახდენს ამნეზიის ზოგიერთ მოდელზე Early et al (Early et al, 1991) მიერ ნაჩვენები იქნა, რომ სიგმა-1 რეცეპტორის სხვადასხვა ლიგანდები გავლენას ახდენს მუსკარინული ქოლინერგული რეცეპტორების ბლოკატორებით ინდუცირებული ამნეზიის უკუგანვითარებაში DTG, (+)-3-PPP და იგმეზინმა შეაფერხა სკოპოლამინინ-ინდუცირებული ამნეზიის განვითარება ვირთაგვებში, მაშინ, როცა (+)-SKF-10,047 და რიმკაზოლი არაეფექტური აღმოჩნდა სიგმა-1 აგონისტები (+)-SKF-10,047, (+–) პენტაზოცინი, DTG და (+)-3-PPP –ასევე აფერხებდა ქოლინერგული დისფუნქციით გამოწვეულ ამნეზიას (Matsuno et al, 1994)

სავარაუდოა, რომ სიგმა ლიგანდები და ნეიროაქტიური სტეროიდები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დეპრესიის დროს ორივე ახდენს ნორადრენერგული და გლუტამატერგული ნეიროტრანსმისიის მოდულირებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დეპრესიის ფორმირებაში (Bunney et al, 1965, Trullas et al, 1990) სიგმა რეცეპტორის ზოგიერთი აგონისტი, მაგალითად, (+)-პენტაზოცინი და 4-(N–ბენზილპიპერიდინ-4-ილ)-4-იოდობენზამიდი (4-IBP) აძლიერებდა სეროტონინერგულ ტრანსმისიას in vivo ანესთეზირებულ ვირთაგვებში (Bermack et al, 2001)

კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა კავშირი ნეიროაქტიური სტეროიდების ენდოგენურ დონესა და დეპრესიის მდგომარეობას შორის დეპრესიის მდგომარეობაში მყოფ პაციენტებს აღენიშნებოდათ ალოპრეგნანოლონისა და პრეგნანოლონის კონცენტრაციის შემცირება ზურგის ტვინის სითხეში (Romeo et al, 1998) ანტიდეპრესანტებით წარმატებული მკურნალობის შემდეგ ეს კონცენტრაციები იზრდებოდა სიგმა-1 რეცეპტორების აგონისტები მოქმედებენ როგორც ანტიდეპრესანტები სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელში იგმეზინი, (+)-SKF 10047, SA 4503, (+)- პენტაზოცინი, DTG და OPC14523 ამცირებდნენ უმოძრაობის დროს იძულებითი ცურვის ექსპერიმენტებში (Matsuno et al, 1996, Urani et al, 2001, Tottori et al, 1997)

სიგმა-1 რეცეპტორების აგონისტებით დიდი ხნით მკურნალობას, კლასიკური ანტიდეპრესანტებისაგან განსხვავებით, არ ახლდა გვერდითი მოვლენები, ისეთი როგორიცაა წონაში კლება (Ukai et al, 1998) მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური ექსპერიმენტები ჯერ არაა ჩატარებული, ეს შედეგები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიგმა-1 რეცეპტორების აგონისტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ახალი, ეფექტური ანტიდეპრესანტები

სიგმა-რეცეპტორი მონაწილეობს დოფამინერგული ნეიროტრანსმისიის მოდულირებაში სიგმა-ლიგანდები, ბენზომორფანები SKF 10047 და პენტაზოცინი აინჰიბირებდნენ NMDA-სტიმულირებულ დოფამინის გამოთავისუფლებას ვირთაგვას სტრიატუმში ეს ეფექტი ითრგუნებოდა სელექტიური სიგმა-1 ანტაგონისტებით (Gonzalez-Alvear et al, 1994)

ნეიროპეპტიდი Y(NPY) აძლიერებს NMDA–სტიმულირებულ დოფამინის გამოთავისუფლებას ვირთაგვას nucleus accumbens ქსოვილში, რაც სავარაუდოდ ხდება სიგმა-1 რეცეპტორებთან ურთიერთქმედების შედეგად ეს ეფექტი მთლიანად იბლოკება სიგმა-რეცეპტორის ანტაგონისტებით, მაგალითად, DuP734 – ით (Ault DT. at al, 1998)

პრეკლინიკური და კლინიკური კვლევების მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სიგმა რეცეპტორები შესაძლოა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფსიქოზის და შიზოფრენიის პათოგენეზში (Tam et al, 1983,). სიგმა-რეცეპტორის ანტაგონისტები BMY-14802 და NE-100 დადებით გავლენას ახდენდა შიზოფრენიის ექსპერიმენტულ მოდელში (Ujike et al, 1992, 1996)

თავის ტვინის იშემიის სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელებში ნაჩვენები იქნა, რომ სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდი PPBP ამცირებს თავის ტვინის ინფარქტის მოცულობას (Takahashi et al, 1995, 1996). სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდების ამგვარი მოქმედება შესა-

ძლოა განპირობებული იყოს ექსაიტოტოქსიური ამინომჟავების პრესინაფსური გამოთავისუფლების ინჰიბირებით

სიგმა-რეცეპტორი შესაძლოა ახდენდეს სიგნალების ტრანსდუქციის მოდულირებას გლუტამატ-რეცეპტორის NMDA ქვეტიპსა და NO სინთაზას შორის აინჰიბირებს რა უჯრედშიდა Ca-ის NMDA-ინდუცირებულ ზრდას, სიგმა რეცეპტორის ლიგანდები შესაძლოა გავლენას ახდენდნენ ნეირონული Ca-დამოკიდებულ NO-სინთაზას აქტივობაზე ფარმაკოლოგიური გზით ნეირონული NO –სინთაზას დაინჰიბირება ინფარქტის მოცულობას ამცირებს (Samdani et al, 1997)

სიგმა-1 რეცეპტორის აქტივაციამ შესაძლოა ოპიოიდების ანალგეტიკური მოქმედების საწინააღმდეგო მოქმედება გამოიწვიოს სიგმა-1 რეცეპტორის სელექტიური ლიგანდი, ძლიერი სიგმა აგონისტი (+)-პენტაზოცინი, თრგუნავს თაგვებში ფართე სპექტრის ოპიოიდების μ, δ, κ1 და κ3 ოპიოიდების ანალგეტიკურ მოქმედებას, მაშინ, როცა სიგმა-1 ანტაგონისტი, ჰალოპერიდოლი აძლიერებს მას (Chien et al, 1994, 1995, Mei et al, 2002)

სიგმა-რეცეპტორი განაპირობებს ცნს-ში სტიმულატორების მოქმედებას ფსიქომოტორული სტიმულატორები, ისეთები როგორიცაა კოკაინი და ფსიქომიმეტიკური წამლები, მაგალითად, ფენციკლიდინი (PCP) ავლენენ აფინურობას სიგმა-რეცეპტორის მიმართ სიგმა-ანტაგონისტების საშუალებით კოკაინის სიგმა-რეცეპტორზე მოქმედების დაბლოკვა პრეპარატის ტოქსიურ ეფექტს ხსნის (Matsumoto et al, 2003) სიგმა-რეცეპტორის ტრადიციული ანტაგონისტები, ისეთი, როგორიცაა ჰალოპერიდოლი და BMY-14802, მნიშვნელოვნად ამცირებს კოკაინით ინდუცირებულ კრუნჩხვებსა და მოძრაობით ჰიპერაქტივობას ვირთაგვებში (Matsumoto et al, 2001)

სიგმა-რეცეპტორის როლი ხველების მოდულაციაში თერაპიულ ინტერესს წარმოადგენს ახალი ხველების საწინააღმდეგო პრეპარატების შემუშავებაში დღეისათვის გამოყენებული ხველების საწინააღმდეგო პრეპარატები, როგორც წესი, შეიცავს ოპიოიდ

კოდეინს და მორფინის სინთეზურ წარმოებულს, დექსტრომეტორფანს ამ წამლების ეფექტურობა შეზღუდულია და ცენტრალური მექანიზმით მოქმედებს, რაც ხშირად იწვევს არასასურველ გვერდით მოელენებს, მაგალითად, სედატიურ ეფექტს, ცენტრალური სუნთქვის დათრგუნვას დექსტრომეტორფანი არის NMDA-რეცეპტორის ანტაგონისტი და სიგმა რეცეპტორის აგონისტი, ამ აგენტის ხველების საწინააღმდეგო მოქმედება შეიძლება განპირობებული იყოს როოგრც NMDA, ისე სიგმა-რეცეპტორის მოქმედებით ექსტრომეტორფანის ხველების საწინააღმდეგო ეფექტი ვირთაგვებში ითრგუნებოდა სიგმა-რეცეპტორის არასელექტიური ინჰიბიტორებით, კერძოდ, რიმკაზოლით (Kamei 1993) სიგმა-1 აგონისტების SKF 10047, DTG ან პენტაზოცინის გენერალიზებული შეყვანა მნიშვნელოვნად ამცირებდა კაპსაიცინით ინდუცირებულ ხველას ვირთაგვებში რიმკაზოლის წინასწარი შეყვანა მნიშვნელოვნად თრგუნავდა დექტრომეტორფანის ან ნოსკაპინის ხველების საწინააღმდეგო ეფექტს, თუმცა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა მორფინის ხველების საწინააღმდეგო მოქმედებაზე აქედან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდები შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც არანარკოტიკული ხველების საწინააღმდეგო საშუალება (Kamei et al, 1999)

13. სიგმა-რეცეპტორებით განპირობებული ანთების საწინააღმდეგო და იმუნომამოდულირებელი მოქმედება

იმუნური სისტემის უჯრედებში აღმოჩენილია სიგმა-რეცეპტორების მნიშვნელოვანი ექსპრესია სპეციფიკური მონიშნული ლიგანდების საშუალებით გამოელენილ იქნა როგორც სიგმა-1, ისე სიგმა-2 რეცეპტორების ექსპრესია ადამიანის სისხლის პერიფერიულ მონონუკლეურ უჯრედებში (Wolfe et al, 1989), თაგვის ლეიკოციტებში (Carr et al, 1991), ვირთაგვის სპლენოციტებში (Paul et al, 1994) [3H](+)-პენტაზოცინი ავლენს რა მაღალ აფინურობას, სპეციფიკურად უკავშირდება სიგმა რეცეპტორებს T და B ლიმფოციტების მემბრანებზე (Carr et al, 1991) სპლენოციტებში მაღალი სელექტიურობის სიგმა ლიგანდი (+)-აზიდოფენაზოცინი ეფექტურად ბლოკავდა სიგმა ლიგანდების [3H] პალოპერიდოლის და [3H](+)-პენტაზოცინის დაკავშირებას (Garza et al, 1993)

შესწავლილი იქნა ადამიანის Jurkat–ის ხაზის T-ლიმფოციტებში ექსპრესირებული სიგმა-1 რეცეპტორები უჯრედების ეს ხაზი წარმოადგენს CD4-პოზიტიურს და უნარი აქვთ სტიმულირების საპასუხოდ დაასინთეზირონ IL-2 და IFN γ (Ganapathy et al, 1999) ამ გამოკვლევებში ნაჩვენები იქნა, რომ Jurkat –ის ხაზის უჯრედები იკავშირებს პროგესტერონს, რომელიც ამ დროს ავლენს მაღალ აფინურობას ეს ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ პროგესტერონი არის სიგმა რეცეპტორის შესაძლო ენოგენური ლიგანდი, (Siitari et al, 1977) და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროგესტერონის იმუნომამოდულირებელი მოქმედება განპირობებულია სიგმა-რეცეპტორით ეს დაკვირვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხმძიმობის შემთხვევაში, რომლის დროსაც პროგესტერონის დონე საკმარისად მაღალია სიგმა რეცეპტორის გასაჯერებლად იმუნურ უჯრედებში შესაძლოა პროგესტერონის იმუნოსუპრესორული მოქმედება უზრუნველყოფს

დედის ორგანიზმის იმუნოტოლერანტობას პლაცენტური ალოგრაფის მიმართ.

დადგენილ იქნა, რომ სიგმა ლიგანდები, ურთიერთქმედებენ რა სიგმა-რეცეპტორთან, რომლებიც ექსპრესირებულნი არიან ლიმფოციტებზე, ავლენენ იმუნორეგულატორულ მოქმედებას და შეუძლიათ გამოავლინონ იმუნოსუპრესორული და ანთების საწინააღმდეგო მოქმედება DTG და ჰალოპერიდოლი მაღალი კონცენტრაციებით თრგუნავენ NK უჯრედების აქტივობას in vitro ვირთაგვას სპლენოციტებში, მაშინ როცა (+)-პენტაზოცინის, (–)-პენტაზოცინის და (+)- PPP –ს ექვიეალენტური კონცენტრაციები არ ახდენდნენ გავლენას DTG –ს დაბალი დოზები, პირიქით, აძლიერებდა NK უჯრედების აქტივობას (Carr et al, 1992) აგრეთვე აღმოჩენილ იქნა, რომ სიგმა-ლიგანდები ახდენენ in vitro იმუნოგლობულინების მიტოგენის სა-პასუხო პროდუქციის მოდულირებას კერძოდ, ჰალოპერიდოლი მაღალი კონცენტრაციებით მნიშვნელოვნად თრგუნავდა IgG და IgM–ის მიტოგენ-სტიმულირებულ პროდუქციას, მაგრამ ზრდიდა LPS (ლიპოპოლისაქარიდი)-ინდუცირებულ IgM-ის პროდუქციას ვირთაგვების სპლენოციტებში ალოპერიდოლის უფრო დაბალი კონცენტრაციები ზრდიდა მიტოგენ-ინდუცირებილ და LPS-ინდუცირებულ IgM–ის და IgG-ის პროდუქციას (+)-პენტაზოცინი მაღალი კონცენტრაციებით თრგუნავდა IgG და IgM –ის LPS-ინდუცირებულ პროდუქციას, მაგრამ ზრდიდა IgM–ის მიტოგენ-ინდუცირებილ პროდუქციას როგორც DTG, ისე (–)-პენტაზოცინი, მნიშვნელოვნად ზრდიდა IgM–ის LPS-ინდუცირებულ პროდუქციას ვირთაგვას სპლენოციტებში სიგმა- რეცეპტორის ლიგანდების გამოყენებით დადგენილ იქნა, რომ არსებობს მაღალი კორელაცია სხვადასხვა წამლის სიგმა რეცეპტორთან დაკავშირების უნარსა და მათ სპლენოციტების პროლიფერაციის მოდულაციის უნარს შორის (Liu et al, 1995)

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სიგმა რეცეპტორის ლიგანდებს შეუძლიათ ლიმფოციტების მიერ ციტოკინების გამოთავისუფლების

რეგულირება Paul et al (1994) პირველად აღწერა სიგმა რეცეპტორის ახალი ლიგანდი SR31747A, რომელიც სპეციფიკურად უკავშირდება რა ადამიანისა და ვირთაგვის ლიმფოციტებს, ავლენს მაღალ აფინურობას (Paul et al, 1994) ადამიანში SR31747A, ნანომოლარული აფინურობით უკავშირდება ორ ცილას სიგმა-რეცეპტორს და სტეროლ იზომერაზას (HIS), რომელსაც აგრეთვე ეწოდება ემოპამილ-დამაკავშირებელი ცილები (EBP) (Paul et al, 1998, Jbilo et al, 1997) ზოგიერთი გამოკვლევის შედეგების თანახმად, SR31747A უკავშირდება სიგმა-2 რეცეპტორსაც, თუმცა ეს საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს (Berthois et al, 2003). SR31747A წარმოადგენს სიგმა-ლიგანდების დღემდე ცნობილ ყველაზე ძლიერ კონკურენტს კვლევებმა, რომლებიც ჩატარებულ იქნა სხვადასხვა in vitro და in vivo მოდელებზე, აჩვენა SR31747A –ის უნარი მოახდინოს იმუნური პასუხების მოდულაცია და დათრგუნოს ადამიანისა და თაგვის T- ლიმფოციტების პროლიფერაცია დადგენილ იქნა, რომ SR31747A გავლენას ახდენს T-ლიმფოციტების გააქტივების გვიან სტადიაზე, რაც ხდება უჯრედული ციკლის S/G2/M ფაზაში (Casellas et al, 1994) აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიგმა რეცეპტორებს შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეთ T- ლიმფოციტების მიტოგენეზში.

აღმოჩენილ იქნა, რომ SR31747A ასტიმულირებს იმუნური სისტემის უჯრედების მიერ LPS–ით და სტაფილოკოკური ენდოტოქსინი B-თი სიმულირებული ანთების საწინააღმდეგო ციტოკინის IL10-ის გამოთავისუფლებას და ამავდროულად მნიშვნელოვნად თრგუნავს ანთებითი ციტოკინის TNFα–ს სინთეზს (Derocq et al, 1995, Bourrie et al, 1995) დღემდე არც ერთ იმუნომოდულატორს არ შეუძლია მოახდინოს ასეთი ორმაგი მოქმედება მაგალითად ციკლოსპორინი A-ს, სტეროიდებს და თუნდაც დექსამეტაზონს, რომელიც TNFα–ს ძლიერი ინჰიბიტორია არ შეუძლია IL10-ის გამომუშავების სტიმულირება

ცნობილია, რომ ეს ორი ციტოკინი და მათი დისბალანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალი ანთებითი და აუტოიმუნური დაავადებების პათოგენეზში, მაგალითად, ისეთის, როგორიცაა რევმატოიდული ართრიტი (Feldmann et al, 1999), შარკრიანი დიაბეტი და სხვა SR1747A თრგუნავს ტრანსპლანტაციის დროს განვითარებულ მწვავე რეაქციას თაგვებზე ექსპერიმენტულ მოდელში, ბლოკავს რა Th1 CD4+ უჯრედების მიერ γIFN –ის პროდუქციას (Carayon P et al, 1995) ასე რომ, სიგმა-ლიგანდები ერთროულად აინჰიბირებენ რა ანთებითი ციტოკინების სინთეზს და ახდენენ ანტიანთებითი ციტოკინების ექსპრესიის ინდუცირებას ანთების კერაში, შესაძლოა ახალ პერსპექტივებს სახავდეს ამ დაავადებების მკურნალობისას თუმცა SR31747A -ს გამოყენება სამკურნალო მიზნით შეზღუდულია, ვინაიდან ის თითქმის მთლიანად მეტაბოლიზირდება ციტოქრომ P450–ით Bourrie და მისმა თანამშრომლებმა აღმოფხვრეს ეს ნაკლი შეიმუშავეს რა შემცვლელი SR31747A მოლეკულისა, რომელსაც იგივე თვისებები აქვს, მაგრამ არ მეტაბოლიზირდება ციტოქრომ P450–ით ასეთია სიგმა რეცეპტორის ლიგანდი SSR 125329A, რომელიც უფრო მაღალ აფინურობას ავლენს სიგმა-რეცეპტორის მიმართ, ვიდრე SR31747A In vivo SSR 125329A მკვეთრად ზრდის IL-10-ის სინთეზს LPS-ით ინდუცირებული შოკის დროს ვირთაგვებში, რასაც თან ახლდა TNFα–ს სინთეზის მნიშნელოვანი შემცირება (Bourrie et al, 2002) SSR 125329A-მ მნიშვნელოვნად შეამცირა სპლენომეგალია და შეამცირა INFγ-სინთეზი სპლენოციტებში ტრანსპლანტაციის ექსპერიმენტულ მოდელში ამ დროს აღინიშნებოდა მძიმე პათოლოგიის ნიშნების მნიშვნელოვანი შემცირება SSR 125329A დადებით გავლენას ახდენს სპონტანური რევმატოიდული ართრიტის მსგავსი დაავადებისას თაგვებში, ამცირებს რა ხრტილის დაზიანების ხარისხს (Bourrie et al, 2002)

სიმსივნურ უჯრედებში აღმოჩენილია სიგმა-რეცეპტორის ორივე ქვეტიპის დიდი რაოდენობა, რაც მიუთითებს ამ რეცეპ-

ტორების მნიშვნელოვან უჯრედულ ფუნქციაზე სიმსივნის დროს სიგმა-1 და სიგმა-2 რეცეპტორების ძალიან მალალი სიმკვრივე იქნა აღმოჩენილი წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნის (Vilner et al, 1995), სარძევე ჯირკვლის სიმსივნის (John et al, 1995), ნერვული ქსოვილების სიმსივნის (Bem et al, 1991) და მელანომას დროს (John et al, 1993) სიგმა-რეცეპტორის ლიგანდები თრგუნავდა პროლიფერაციას სარძევე ჯირკვლის, მსხვილი ნაწლავის, ნერვული ქსოვილების სიმსივნური უჯრედების კულტურებში (Vilner et al, 1995)

In vitro გამოკვლევებმა აჩვენა, რომ SR31747A ნანომოლარული კონცენტრაციით ახდენს სარძევე ჯირკვლისა და წინამდებარე ჯირკვლის, როგორც ჰორმონდამოკიდებული, ასევე ჰორმონდამოუკიდებელი სიმსივნური უჯრედების პროლიფერაციის დათრგუნვას (Jbilo et al, 1997) ზოგიერთი მკვლევარის აზრით, SR31747A–ის ანტიპროლიფერაციული მოქმედება განპირობებულია სიგმა-რეცეპტორით, რაც დადასტურებულ იქნა იმით, რომ მისი მოქმედება იბლოკებოდა კონკურენტული ლიგანდით (+)- პენტაზოცინით (Labit-Le Bouteiller et al, 1998) ზოგიერთი მეცნიერის გამოკვლევები იძლევა იმ ვარაუდის საფუძველს, რომ SR31747A-ს ანტიპროლიფერაციული ეფექტი დამოკიდებულია ქოლესტერინის სინთეზის ინჰიბირებით სტეროლ იზომერაზას დაბლოკვის საშუალებით ცნობილია, რომ უჯრედების ზრდა მჭიდრო კავშირშია ქოლესტერინის ბიოსინთეზთან, რომელიც აუცილებელია ახალი მემბრანის ფორმირებისათვის სარძევე ჯირკვლის, საკვერცხეების და თირკმლის უჯრედების სიმსივნური ხაზის პროლიფერაციის დათრგუნვას SR31747A–ს საშუალებით, თან ახლდა ქოლესტერინის აკუმულაცია (Dussossoy et al, 1999)

ზოგიერთი კვლევის შედეგები ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულს Zhu და სხვ (2003) კვლევებში სიგმა-1 აგონისტი აინ-დუცირებს რა IL10–ის სინთეზს, ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას in vivo სიმსივნის გაძლერებული ზრდა შეჩერებულ იქნა მას შემდეგ, რაც

თაგვებს შეუყვანეს სპეციფიკური ანტიგენი IL10-ის წინააღმდეგ ან სიგმა-1 რეცეპტორის სპეციფიკური ანტაგონისტი (Rohrer et al, 1995) ასე, რომ სიგმა-1 აგონისტები, მათ შორის კოკაინი, შესაძლოა ხელს უწყობდეს სიმსივნის ზრდას IL10 – დამოკიდებული მექანიზმით კოკაინი ეროვება იმუნურ პროცესებში და ახდენს ციტოკინების პროდუქციის მოდულირებას, ცვლის NK უჯრედების აქტივობას და ამცირებს B ლიმფოციტების პასუხს LPS-ზე (Watzl et al, 1990) რსებობს მონაცემები, რომ კოკაინის ბოროტად გამოყენების დროს ხშირია ისეთი ჰისტოპათოლოგიური ანომალიები, როგორიცაა ჰიპერპლაზია და უჯრედების მეტაპლაზია (Mach et al, 1997)

ამრიგად, სიგმა დამაკავშირებელი უბნები შესაძლოა მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ უჯრედების ზრდაში, დიფერენციაციაში და პროლიფერაციაში უნდა აღინიშნოს, რომ სიგმა-რეცეპტორები დიდი რაოდენობითაა სწრაფად პროლიფერირებად უჯრედებში (Vilner et al, 1997) სიგმა-ლიგანდების ანტი-პროლიფერაციული აქტიურობა დიდ ინტერესს იწვევს ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობისას

Vilner და თანამშრ-მა დაადგინეს, რომ სიგმა-2 რეცეპტორის აგონისტები ახდენს ადამიანის ნეირობლასტომის უჯრედების სიკვდილის ინდუცირებას აპოპტოზის გზით (Crawford et al, 2002) სიგმა-2 რეცეპტორის აგონისტები იმავე გზით აინდუცირებენ სარძევე ჯირკვლის სიმსივნური უჯრედების სიკვდილს (Vilner et al, 2000). სიგმა-1 რეცეპტორის ლიგანდები არ იწვევდნენ მსგავს ეფექტებს, სიგმა-1 რეცეპტორის სელექტიური ლიგანდი (+)-პენტაზოცინი და დექსტრალორფანი არ მოქმედებდა ან მცირე ეფექტი ჰქონდა სიმსივნურ უჯრედებზე

აპოპტოზის მექანიზმი, რომელიც სიგმა-2 რეცეპტორით არის განპირობებული განსხვავდება იმ აგენტების მოქმედების მექანიზმისაგან, რომელიც იწვევს დნმ-ის დაზიანებას აპოპტოზური სიგნალების უმრავლესობა ახდენს კასპაზების თანამიმდევრულ გააქ

ტიევებას, რაც იწვევს სპეციფიკური ცილების დეგრადირებას და საბოლოოდ უჯრედის სიკვდილს გამოკვლევებში კასპაზების ინჰიბიტორები ამცირებდა დნმ-დამაზიანებელი აგენტების, დოქსრუბიცინის და აქტინომიცინ D-ს ციტოტოქსიურობას (Ryan et al, 1998) მიუხედავად ამისა, კასპაზების ინჰიბიტორებს არ შეეძლო სიგმა-2 აგონისტების ციტოტოქსიურობის დათრგუნვა და სარძევე ჯირკვლის სიმსივნური უჯრედების ზრდის დათრგუნვა (Vilner et al, 2000) ეს მონაცემები ადასტურებს იმას, რომ სიგმა-2 რეცეპტორით განპირობებული აპოპტოზი მიმდინარეობს კასპაზების მონაწილეობის გარეშე

სიმსივნის დამთრგუნველი P53-ის გენის მუტაცია გენეტიკური აბერაციაა, რომელიც სიმსივნეების 50%-ში შეინიშნება მუტან-ტური P53 სიმსივნური უჯრედები ნაკლებად მგრძნობიარენი არიან აპოპტოზის გამომწვევი აგენტების მიმართ და შესაძლოა გამოავლინონ რეზისტენტობა ანტინეოპლასტიკური წამლების მიმართ (Lomax et al, 1998) ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, სიგმა-2 რცეპტორის აგონისტები ერთნაირი წარმატებით მოქმედებენ როგორც მუტანტურ, ასევე wild-tipe სიმსივნეებზე ამ მონაცემებზე დაყრდნობით სავარაუდოა, რომ სიგმა2 რეცეპტორი განაპირობებს აპოპტოზს p53-დამოუკიდებელი მექანიზმით (Vilner et al, 2000.). ეს დაკვირვება დიდ კლინიკურ ინტერესს იწვევს სიმსივნის მკურნალობისას წამლისმიერი რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად

ამრიგად, სიგმა-2 რეცეპტორი განაპირობებს აპოპტოზის ახალ, ალტერნატიულ გზას აპოპტოზის ამ ალტერნატიული ფორმის შესწავლა ნათელს მოჰფენს სხვადასხვა აგენტების მოქმედებას, რომლებიც ასევე იწვევენ აპოპტოზს კასპაზების გააქტივების გარეშე (Vilner et al, 2000)

14. სიგმა-რეცეპტორების მოქმედების შესაძლო მექანიზმები

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკმაოდ ბევრი მონაცემი სიგმა-რეცეპტორის მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა ტიპის უჯრედის ბიოლოგიაში, მექანიზმები, რომლითაც ხორციელდება ეს ეფექტები, საბოლოოდ შესწავლილი არ არის. სიგმა-რეცეპტორებს მიაწერენ მრავალი ფუნქციის შესრულებას

შემოთავაზებული სიგმა რეცეპტორის მოლეკულური მოდელი (სურ 1) მნიშვნელოვანია სიგმა-1 რეცეპტორის უჯრედული ფუნქციების გაგებისთვის და გააადვილებს სიგმა რეცეპტორების მოლეკულური მექანიზმების დადგენას არსებობს მოსაზრება იმისა, რომ სიგმა-რეცეპტორები არის დამხმარე ქვე-ერთეული იმ სამიზნე ცილებისთვის, რომლებიც ჩართულია უჯრედის სხვადასხვა ფუნქციაში (Aydar et al , 2002)



სურ 1 სიგმა-1 რეცეპტორის სრტუქტურული მოდელი ეს მოდელი (Aydar et al , 2002) შეიცავს ორ ტრანსმემბრანულ სუბერთეულს NH_2 და COOH დაბოლოებები ნაჩვენებია მემბრანის უჯრედშიდა მხარეს

იონური არხების მოდულაცია. გამოკვლევებმა სიგმა რეცეპტორების მიერ იონური არხების მოდულაციის შესახებ, საკმაო წარმატებებს მიაღწიეს (Palmer et al , 2004) მიუხედავად იმისა, რომ ანალოგია სიგმა რეცეპტორსა და G-ცილასთან შეწყვილებულ კლასიკურ რეცეპტორს შორის არ არსებობს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ სიგმა რეცეპტორი იყენებს G-ცილას (Soriani et al., 1998., Soriani et al , 1999) შესა-

ბამისად, სიგმა1 რეცეპტორს შეუძლია ფუნქციური ურთიერთქმედება G-ცილასთან მექანიზმით, რომელიც განსხვავდება G-ცილასთან დაწყვილებული კლასიკური რეცეპტორისაგან (Palmer et al , 2004) მეორე მხრივ, ფიზიოლოგიური ექსპერიმენტების უმრავლესობა ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სიგმა-1 რეცეპტორის მიერ სიგნალის გადაცემისას G-ცილის მონაწილეობა არ ხდება მორიომ და სხვ (Morio Y 1994) აჩვენეს, რომ K^+-ის არხების ინჰიბირება სიგმა წამლებით NCB-20 უჯრედებში, არ განიცდიდა რაიმე ცვლილებებს წინასწარ A23187-ით, ფორსკოლინით, ფორბოლ-12, 13-დიბუტირატით, ქოლერის ტოქსინით ან პერტუსინ-ტოქსინით დამუშავებისას ეს შედეგები შეესაბამება იმ მოსაზრებას, რომ უჯრედშიდა მეორადი მესენჯერული სისტემები ვოლტაჟით ჩაკეტილი K^+-ის არხების სიგმა რეცეპტორით მოდულაციისათვის აუცილებელი არ არის

ვირთაგვას სიმპათიკურ და პარასიმპათიკურ ნეირონებში ნაჩვენებია, რომ სიგმა-რეცეპტორები ახდენენ მაღალი ვოლტაჟით აქტივირებული Ca^{2+}-ის არხების მოდულაციას, მათ შორის N-, P/Q- და R ტიპის Ca^{2+}-ის არხების (Zhang et al , 2002) გარდა ამისა, Ca^{2+}-ის დენის ამპლიტუდის შესამცირებლად, სიგმა-რეცეპტორებმა შეცვალეს ამ არხების კინეტიკური თვისებები ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, აგრეთვე, რომ არც დიფუზირებადი ციტოზოლური მეორადი მესენჯერი და არც G-ცილა ამ პროცესში ჩართული არ არის

ცდებმა ვირთაგვის ნეიროჰიპოფიზზე აგრეთვე უარყოფითი შედეგები გამოიღო, მეორადი მესენჯერებისა და G-ცილის მიერ სიგმა-რეცეპტორის სიგნალიზაციის მედიაციის თვალსაზრისით (Lupardus et al , 2000) პენტაზოცინით ან SKF10047-ით K^+-ის არხების მოდულაცია გრძელდებოდა მაშინაც, როდესაც ნერვული ტერმინალები შიგნიდან პერფუზირდებოდა GTP-საგან თავისუფალი ხსნარებით, G-ცილის ინჰიბიტორით GDP↨S, ან G-ცილის აქტივატორით GTP□S-ით. DMS-114 უჯრედებში (სიმსივნური უჯრედების ხაზი, რომელიც გამოყოფილია

ფილტვის წვრილუჯრედოვანი კარცინომიდან), GDPβS-ს პერფუზიით აგრეთვე ვერ მოხერხდა SKF10046-ზე პასუხის შეცვლა (Wilke et al, 1999) ასეთივე უარყოფითი შედეგები იყო მიღებული ტესტებში პროტეინკინაზის მონაწილეობაზე ნერვული ტერმინალების ატფ-ის არაჰიდროლიზებადი ანალოგით - AMPPcP-თი შინაგან პერფუზიას, სიგმა-1 რეცეპტორული წამლით გამოწვეულ K^+ დენის შეკავებაზე არავითარი ეფექტი არ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო დაკვირვება, რომელმაც აჩვენა, რომ K^+ არხები, რომლებიც შენარჩუნებულია ამოჭრილ და ამოტრიალებულ ზოლში, მოდულირდებოდნენ SKF10047-ით (Lupardus et al, 2000, Wilke et al., 1999) ეს ეფექტი საერთოდ გამორიცხავს რაიმე ხსნადი ციტოპლაზმური ფაქტორის როლს ამის საპირისპიროდ, K^+ არხები, რომლებიც მოთავსებულია უჯრედთან დაკავშირებულ ზოლში, არ მოდულირდებოდა სიგმა ნივთიერებით, რომელიც ზოლს დაედო გარედან, რაც გვიჩვენებს, რომ შესწავლილი სიგმა-1 რეცეპტორები და K^+ არხები ძალიან ახლოს უნდა იყვნენ ერთმანეთთან, რათა მოახდინონ რაიმე ფუნქციური ზემოქმედება (Lupardus et al, 2000) აიდარმა და სხვ (Aydar et al, 2002) შეისწავლეს ოოციტების Kv 1,4 და Kv 1,5 არხების სიგმა-1 რეცეპტორული მოდულაცია Xenopus-ის ოოციტებში ნანახია იონური არხების მოდულაცია, როგორც სიგმა-1 ნივთიერებების თანაობისას, ისე მათ გარეშე, რაც გვაფიქრებინებს, რომ სიგმა-1 რეცეპტორს შეუძლია შექმნას ფუნქციური კომპლექსი ექსპრესირებულ იონურ არხთან მართლაც, აღნიშნულმა ავტორებმა ნახეს, რომ სიგმა-1 რეცეპტორი აყალიბებს იმუნოპრეციპიტაციურ კომპლექსს იონურ არხებთან, როგორც ვირთაგვის ნეიროჰიპოფიზში, ისე Xenopus-ის ოოციტებში (Aydar et al 2002) არსებობს ვარაუდი, რომ სიგმა-1 რეცეპტორების მიერ K^+-ის არხების მოდულაციის დროს, სიგმა-1 რეცეპტორების მიერ სიგნალის გადაცემის მექანიზმი (ა) შემოფარგლულია მემბრანით (Lupardus et al, 2000, Wilke et al, 1999), (ბ)

დამოუკიდებელია G-ცილასთან შეწყვილებისაგან და ცილის ფოსფორილებისაგან (Zhang et al., 2002, Lupardus et al , 2000, Wilke et al , 1999), (გ) შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას ჰეტეროლოგიურ სისტემაში, (დ) არ საჭიროებს ციტოპლაზმურ ფაქტორებს და (ე) აუცილებლად მოითხოვს, რომ სიგმა-1 რეცეპტორი და K^+-ის არხი მჭიდრო სიახლოვეში იყვნენ (Lupardus et al , 2000), ალბათ, სტაბილური მაკრომოლეკულური კომპლექსის წარმოსაქმნელად (Aydar et al , 2002)

საჭიროა დამატებითი გამოკვლევები, რათა დადგენილი იქნას, სიგმა-1 რეცეპტორით K^+-არხის მოდულაცია პირდაპირ ცილა-ცილის ურთიერთქმედებით ხდება, თუ არსებობს შუამავალი მოლეკულები თუ გავითვალისწინებთ, რომ სიგმა-1 რეცეპტორს მიაწერენ ფუნქციათა ფართო ასორტიმენტს, სიგმა-1 რეცეპტორის მიერ სიგნალიზაცია უნდა ხდებოდეს ერთი ან მეტი შუამავალი სასიგნალო მოლეკულის მონაწილეობით (რომლებიც პლაზმურ მემბრანაში უნდა იყვნენ მოთავსებული) და არა პირდაპირი ურთიერთქმედებით გარდა ამისა, ის ამინომჟავების ნაშთები, რომლებიც არის Kv იონურ არხებში, და რომლებიც მონაწილეობენ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) სიგმა-1 რეცეპტორებთან ურთიერთქმედებაში, ჯერ არ არის ცნობილი ამ საკითხების გამორკვევა მეტ შუქს მოჰფენს სიგმა-1 რეცეპტორის სიგნალიზაციის მექანიზმს

იონური არხები ექსპრესირდება სხვადასხვა ტიპის სიმსივნიდან მი-ღებულ უჯრედთა ხაზებში იონური არხების ზოგიერთი ტიპი ჩართულია პროლიფერაციაში (Wilke et al , 1999) კიბოს უჯრედების მეტასტაზურ აქტივობაში (Woodfork et al , 1995, Yao ety al , 1999) საინტერესოა, რომ სიგმა რეცეპტორის ექსპრესია იზრდება სიმსივნურ უჯრედებში და რომ სიგმა-1 რეცეპტორები მოქმედებენ, როგორც მეორადი სუბერთეულები ზოგიერთი იონური არხისთვის ვინაიდან K^+არხების ამპლიტუდის რეგულირება შემცირებისკენ, დაკავშირებულია ადამიანის პროსტატის და სარძევე ჯირკვლის კიბოს მეტასტაზურ ფენოტიპთან (Fraser et al , 2003), ამგვარი ეფექტი შეიძ-

ლება საფუძვლად ედოს ნავარაუდევ ასოციაციას სიმსივნის პროგრესირებასა და სიგმა რეცეპტორულ ნივთიერებებს შორის გასარკვევი რჩება, Kv-ს გარდა სხვა იონური არხები, მათ შორის ისეთები, რომლებსაც მიაწერენ მეტასტაზურ კასკადში მონაწილეობას, როგორიცაა ვოლტაჟით ჩაკეტილი Na^+-ის არხი (Fraser et al , 2003) თუ მოდულირდებიან სიგმა ნივთიერებებით და, თუ ეს ასეა, შეიძლება თუ არა ამის დაკავშირება სიმსივნურ პროცესთან

ანკირინის მოდულაცია. ჰაიასიმ და სუმ (Hayashi et al , 2001) გამოთქვეს მოსაზრება, რომ სიგმა-1 რეცეპტორები შეიძლება მონაწილეობდნენ ციტოჩონჩხის ცილების ფუნქციონირების კონტროლში იმუნოციტოქიმიური ტექნიკის გმოყენებით, მათ აჩვენეს, რომ სიგმა-1 რეცეპტორი, ანკირინ B და IP3R-სთან ერთად არიან ლოკალიზებულნი პერინუკლეურ უბანში და უჯრედ-უჯრედული კონტაქტის უბანში, და ივარაუდეს, რომ ეს ტრიმერული კომპლექსი შეიძლება არეგულირებდეს Ca^{2+}-ს სიგნალიზაციას (Hayashi et al , 2001). მართალია, ზუსტი მოლეკულური მექანიზმი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მოსაზრებას, ჯერ არ არის ცნობილი, თუმცა კარგადაა ცნობილი, რომ ადჰეზია და ციტოჩონჩხის ორგანიზაცია მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ კიბოს უჯრედის ბიოლოგიაში (Cairns et al , 2003)

უჯრედშიდა Ca^{2+}-ს მოდულაცია. ვილნერმა და ბოუენმა (Vilner et al , 2000) მოგვაწოდეს იმის მტკიცებულება, რომ სიგმა რეცეპტორები ნეირობლასტომის უჯრედებში, შესაძლოა იყენებენ Ca^{2+}-ს სიგნალებს თუ გამოვიყენებთ სიგმა არააქტიურ ნივთიერებას (მაგრამ სტრუქტურულად მსგავს), სიგმა-2 შერჩევით აგენტს, როგორიცაა CB-64D და სიგმა-1 შერჩევით აგენტს, დავინახავთ, რომ ენდოპლაზმური ბადიდან Ca^{2+}-ის სწრაფი და წარმავალი გამოყოფა გამოწვეული იყო სპეციფიკურად სიგმა-2 რეცეპტორის მოქმედებით. თავის მხრივ Ca^{2+} მო-

დულაციას შეუძლია იმოქმედოს პროტეინკინაზა C-ს აქტივობაზე მართლაც, ეირთაგვის სინაპტოსომებში დოფამინის ტრანსპორტერის აქტივობა მოდულირდებოდა სიგმა-2 ნივთიერებებით, პროტეინკინაზა C-ს გააქტივების გზით (Derbez et al , 2002) ვინაიდან უჯრედშიდა Ca^{2+} სიგნალიზაცია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია მრავალი უჯრედული პროცესისათვის, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი მექანიზმი იყოს, რომლის საშუალებითაც სიგმა-2 ნივთიერებები მოქმედებენ კიბოს უჯრედებზე

სფინგოლიპიდის დონის მოდულაცია. გამოკვლეული იყო სარძევე ჯირკვლის სიმსივნის MCF-7/Adr და T47D უჯრედთა ხაზების სფინგოლიპიდების დონე სიგმა-2 სპეციფიკური აგონისტების აპლიკაციით (Crawford et al , 2002) CB-184 იწვევდა კერამიდების დონის დოზა-დამოკიდებულ ზრდას და სფინგომიელინის თანადროულ შემცირებას სარძევე ჯირკვლის სიმსივნის MCF-7/Adr და T47D უჯრედთა ხაზებში ეს ეფექტები მცირდებოდა N-ფენეთილპიპერიდინის, სიგმა-რეცეპტორის არასპეციფიკური ანტაგონისტის, მიერ ამ შედეგების საფუძველზე შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ სიგმა-2 რეცეპტორებს შეუძლია სფინგოლიპიდების პროდუქტების გამოყენება, რათა გავლენა მოახდინონ Ca^{2+} სიგნალიზაციაზე, უჯრედის პროლიფერაციაზე და გადარჩენაზე (Crawford et al , 2002)

ამრიგად, სიგმა რეცეპტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბევრ უჯრედულ პროცესში სიგმა რეცეპტორების მონაწილეობა კიბოს უჯრედულ პათოლოგიაში აშკარად ჩანს იქიდან, რომ სიმსივნურ უჯრედთა მრავალ ხაზში დადგენილია სიგმა-1 და სიგმა-2 ბმის უბნების მაღალი სიმჭიდროვე სიგმა-2 ნივთიერებების უნარი შეაკავონ სიმსივნური უჯრედების პროლიფერაცია იმ მექანიზმებით, რომლებშიც შესაძლოა ჩართულია აპოპტოზი, უჯრედშიდა Ca^{2+} და სფინგოლიპიდები, გამოკვლეულია და ასეთ აღმოჩენებს შეიძლება მოჰყვეს სიგმა წამლების შექმნა სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპიისთვის

შესაძლოა, რომ სიგმა რეცეპტორების ექსპრესიის მომატება მნიშვნელოვანი მოვლენაა ნორმალური უჯრედის გადასვლისას ავთვისებიანში, თუმცა, აუცილებელია დამატებითი დეტალური გამოკვლევები, რათა არსებულ მონაცემებს დასაბუთება შეემატოთ მნიშვნელოვანია, რომ მეტასტაზირება მრავალსაფეხურიანი პროცესია, რომელშიც უჯრედის პროლიფერაცია მხოლოდ ერთი მხარეა შემდგომი გამოკვლევებით საინტერესო იქნება დადგინდეს არიან თუ არა სიგმა რეცეპტორები ჩართულნი მეტასტაზირების ისეთ უჯრედულ პროცესებში, როგორიცაა ადჰეზია, სეკრეცია, მოძრაობა და ინვაზია

ამ სფეროში გამოკვლევების ყველაზე დიდი მიზანია შეიქმნას ერთიანი მოდელი, რომელიც აღწერს სიგმა რეცეპტორების მოლეკულურ მექანიზმებს მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გაირკვეს სიგმა რეცეპტორების როლი სხვადასხვა ტიპის უჯრედის ბიოლოგიაში და შეიქმნას ახალი სიგმა- რეცეპტორული აგენტები, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც ეფექტური სადიაგნოზო ან თერაპიული საშუალება მრავალი პათოლოგიის სამკურნალოდ
(Aydar et al., 2004)

1.5 ტრანკრიპციის მარეგულირებელი ფაქტორების მოკლე მიმოხილვა და მათი როლი ადამიანის მონონუკლეური უჯრედების მიერ ციტოკინების სეკრეციის რეგულაციაში

უკანასკნელი ათწლეულის გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ გენების ექსპრესიის რეგულაცია ტრანსკრიპციის დონეზე ხორციელდება (Dunkan et al, 1998) სწორედ ამიტომ ტრანკრიპციის მარეგულირებლი ფაქტორების შესწავლა სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს დღეისათვის მრავალი ტრანსკრიპციის ფაქტორია იდენტიფიცირებული და დახასიათებული. მათი კლასიფიკაცია ეფუძნება დნმ-დამაკავშირებელი დომენის თვისებების ერთობლიობას. ამ თვისებების შესაბამისად ტრანსკრიპციის ფაქტორები დაყოფილია ოთხ ძირითად სუპერკლასად

1 ფაქტორები, რომელთა დნმ-დამაკავშირებელი დომენები მდიდარია დადებითად დამუხტული ამინომჟავური ნაშთებით (basic domain, 284 ფაქტორი)

2 ფაქტორები, რომელთა დნმ-დამაკავშირებელი დომენები ფორმირებულია კოორდინირებული თუთიის იონების მონაწილეობით (zinc-coorinated DNA-bining domain, 148 ფაქტორი)

3 ფაქტორები, რომელთაც აქვთ დნმ-დამაკავშირებელი სპირალი-ბრუნი-სპირალის ტიპის მოტივი (helix-turn-heli DNA binding motif, 369 ფაქტორი)

4. ფაქტორები, რომელთა დნმ-თან კონტაქტში მყოფი ზედაპირი წარმოდგენილია რთულად ორგანიზებული ბეტა ძაფების სახით (beta-scaffold factors with minor grooves contacts, 156 ფაქტორი)

არსებობს აგრეთვე ტრანსკრიპციის ფაქტორების დიდი ჯგუფი დნმ-დამაკავშირებელი უბნების დღეისათვის უცნობი ორგანიზაციით, რომლებიც პირობიად განეკუთვნებიან სუპერკლას 0-ს

ეს კლასიფიკაცია საყოველთაოდაა მიღებული ლიტერატურაში და გამოყენებულია მონაცემთა ბაზაში TRANSFAC (Wingender et al, 1996).

იმუნური პასუხების რეგულაციაში მონაწილე ტრანსკრიპციის ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია Rel/ NF-κB ოჯახის ფაქტორები. Rel/ NF-κB ოჯახის ტრანსკრიპციის ფაქტორები შედგება ხუთი წევრისაგან: NF-κB$_1$ (p105/p50), NF-κB$_2$ (p100/p52), RelA (p65), RelB, და c-Rel (სურ 1)



(სურ 1) Rel/ NF-κB და ikB ოჯახის წევრი ცილები. ისრებით მითითებულია ენდოპროტეოლიზური დახლეჩის საიტები P105 და P100 RHD აღნიშნულია Rel ჰომოლოგიური დომენები, ANK- ankirin განმეორებანი, SS-ით სიგნალით ინდუცირებული ფოსფორილიზაციის საიტი.

NF-κB$_1$ და NF-κB$_2$ სინთეზირდებიან როგორც დიდი ზომის პოლიპეპტიდები და პოსტტრანსლაციური დახლეჩის შემდეგ გარდაიქმნებიან დნმ-დამაკავშირებელ სუბერთეულებად შესაბამისად p50 და p52-ად NF-κB ოჯახის წევრებს ახასიათებთ Rel დომენის არსებობა, რომელიც შეიცავს დნმ-დამაკავშირებელ სპეციფიკურ თანმიმ-

დეერობას და ურთიერთქმედებს მაინჰიბირებელ ikB პროტეინთან (Ghosh et al, 1998) NF-«B ოჯახის წევრები ჰომო-ან ჰეტეროდიმერებისგან შედეგება, რომლებიც ასოცირდებიან სპეციფიკურ პასუხებთან სხვადასხვა სტიმულზე და ტრანსკრიპციის განსხვავებულ ეფექტებთან. NF-«B–ს სხვადასხვა ჰომო- და ჰეტეროდიმერებს შორის ბალანსი განსაზღვრავს, თუ რომელი დიმერი დაუკავშირდება kB საიტს სპეციფიკურად და მოახდენს ტრანსკრიპციის აქტივობის რეგულირებას გარდა ამისა, ეს ცილები სპეციფიკურად ექსპრესირდება უჯრედებში და ქსოვილებში და უზრუნველყოფს რეგულაციის დამატებით დონეს. მაგალითად, NF-«B1 და RelA ყველგან ექსპრესირდება და NF-«B /RelA ჰეტეროდიმერი იწვევს საერთო ინდუცებელური NF-kB აქტივობას, მაშინ როცა NF-«B2, RelB და cRel ექსპრესირდება სპეციფიკურად, ლიმფურ უჯრედებში და ქსოვილებში Rel/ NF-«B ოჯახის ტრანსკრიპციის ფაქტორები აქტიურდებიან იმ სიგნალების საპასუხოდ, რომლებიც იწვევენ უჯრედების ზრდას, დიფერენცირებას, აპოპტოზს და სხვადასხვა იმუნურ პასუხებს (სურ.2)

არასტიმულირებულ მგომარეობაში NF-«B დიმერები უჯრედში იმყოფებიან ინაქტივირებულ მდგომარეობაში, რადგანაც დაკავშირებულნი არიან IkB ოჯახის ცილებთან IkB ცილების ოჯახი შედგება I«Bα, I«Bß, I«Bε, Bcl-3 და NF-«B_1 (p105) და NF-«B_2 (p100)-ს კარბოქსილ-ტერმინალური უბნებისაგან მას შემდეგ რაც რომელიმე ლიგანდი მაგალითად, TNFα, IL1 ან LPS დაუკავშირდება თავის რეცეპტორს, ხდება პროტეინკინაზების გააქტივება, რაც თავის მხრივ ააქტივებს IkBკინაზებს (IKKs) IKKs იწვევს IkB–ს ფოსფორილირებას ამ სასიგნალო კომპლექსის სულ ცოტა სამი კომპონენი არსებობს -IKKε, IKKß, და NEMO/IKKγ, რომლებიც ერთად უზრუნველყოფენ რეგულაციის დამატებით დონეს სხვადასხვა გამოკვლევებში



(სურ.2) ნორმალურ მდგომარეობაში Rel/NF-κB ჰომო და ჰეტერო-ი-მერები ასოცირებულია მაინჰიბირებელი პროტეინების ოჯა-ხის წევრებთან, რომელთაც ჰქვია ikB ისეთი აგენტების ზე-მოქმედებით, როგორიცაა TNF α, IL-1, CD-40L, LPS და UV სხივები, ikB-ს მოლეკულები სწრაფად ფოსფორილირდებიან და დეგრადირდებიან, რითაც საშუალებას აძლევენ Rel/NF-κB დიმერებს გადაადგილდნენ ბირთვში და მოახდინონ kB საიტ-თან დაკავშირება და ტრანსკრიპციის რეგულირება

ნაჩვენებია, რომ IKKß, სამიზნე არის პროანთებითი სტიმული, მაშინ როცა IKKα შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანია morphogenic სიგნა-ლების დროს (Delhase et al , 1999)

NF-κB-ს გააქტივება ასოცირდება სხვადასხვა გენების, მათ შო-რის, IL-8-ს, ადჰეზიის მოლეკულების და ციტოკინების (IL-1, IL-2,

TNFα და IL-12) გაზრდილ ექსპრესიასთან ეს იმუნური მედიატორები თანდაყოლილი იმუნური პასუხის მნიშვნელოვანი კომპონენტებია არსებობს ბაქტერიების ძალიან გრძელი სია და ბაქტერიული პროდუქტები, როგორიცაა LPS (Geng et al ,1993) და Shiga ტოქსინი (Li et al ,1999), რომელთაც შეუძლიათ NF-κB –ს გააქტივება მაკროფაგებში და სხვა ტიპის უჯრედებში გარდა ამისა, მრავალ შრომაში NF-κB–ს გააქტივებას უკავშირებენ იმ გენების ექსპრესიას, რომლებიც ჩართულია იმუნიტეტის რეგულაციაში (Elewaut et al ,1999)

IL-12 ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციტოკინია, რომელიც მონაწილეობს თანდაყოლილი და ადაპტური იმუნური პასუხების აქტივაციაში უჯრედშიდა ინფექციების დროს (Biron et al ,1995) კავშირი IL-12-სა და ტრანსკრიპციის ფაქტორთა NF-κB –ის ოჯახს შორის ნაჩვენები იყო გამოკვლევებში, რომლებშიც IL-12 p40 პრომოტერს გააჩნდა NF-κB –ს დაკავშირების უბნები (Yoshimoto et al , 1997)

გარდა მრავალი პათოგენისა, რომელსაც შეუძლია NF-κB–ს აქტივაცია, არსებობს სხვა იმუნური მოლეკულებიც, რომელიც ააქტიურებს NF-κB–ს ისეთი სტიმულები, როგორიცაა IL-1, IL-18, TNFα და სიგნალიზაცია CD28-ის გზით იწვევს NF-κB–ს აქტივაციას, და ამ სიგნალებს შეუძლია გაზარდოს NK უჯრედების უნარი აწარმოონ IFNγ (Hunter et al ,1997) NF-κB მიჩნეულია ინფექციებისადმი იმუნური წინააღმდეგობის მრავალი ასპექტის მონაწილედ და ამჟამად საჭიროა იმის გამოკვლევა, თუ რა კონკრეტულ როლს თამაშობს ის ინფექციის სხდასხვა ტიპის დროს

NF-κB -ს ოჯახის უმეტესი წევრების ექსპრესია T-უჯრედებში გვიჩვენებს, რომ ისინი ჩართულია T-უჯრედების ფუნქციონირებაში ზრდასრულ T-ლიმფოციტებში სიგნალიზაცია T-უჯრედის რეცეპტორით (TCR) იწვევს პროტეინ კინაზა C-ს აქტივაციას და შემდეგ NF-κB-ს აქტივობას (Sun et al , 2000), რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანია TCR-გამოწვეული პროლიფერაციული სიგნალებისთვის.

როგორც ცნობილია, T-უჯრედების პასუხები შეიძლება დაიყოს Th-1 (რომელსაც ახასიათებს IFNγ-ს სინთეზი და ასოცირდება უჯრედულ იმუნიტეტთან) და Th-2 (რომელსაც ახასიათებს IL-4-ს და IL-5-ის წარმოება და ასოცირდება ჰუმორულ იმუნიტეტთან) ფუნქციურ ქვეჯგუფებად NF-κB შესაძლოა მონაწილეობს T-უჯრედების პასუხების განვითარებაში ნაჩვენებია, რომ მიუხედავად Th1- და Th2-უჯრედების მიერ RelA-ს და c-Rel-ის თანაბარი ექსპრესიისა, Th1 უჯრედებს Th2 უჯრედებისაგან განსხვავებით შეუძლია გააააქტიუროს RelA, TCR-ის სტიმულაციის საპასუხოდ (Lederer et al , 1996)

საკმაოდ ბევრი კვლევა ეძღვნება NF-κB -ს კავშირს Th1 ტიპის პასუხების განვითარებასთან, ნაკლებადაა ცნობილი NF-κB-ს როლი Th2 ტიპის პასუხების რეგულაციაში In vitro გამოკვლევებმა ცხადყო, რომ Th2 უჯრედებში აქტიურდება NF-κB (Lederer et al , 1996) და რომ RelA-ს ბმა IL-4-ში არსებულ პრომოტერებთან, დაკავშირებულია NF-AT-ს ინჰიბიციასთან, რაც საჭიროა IL-4-ის წარმოსაქმნელად (Casolaro et al , 1995)

ამრიგად, NF-κB მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა ანტებითი ციტოკინების და ანტიაპოპტოზური ცილების ექსპრესიის რეგულაციაში აქედან გამომდინარე, ფაქტორთა ეს ოჯახი ითვლება ანტებითი და ალერგიული დაავადებების, აგრეთვე, სიმსივნეების განვითარების მონაწილედ და მისი წევრები წარმოადგენენ მნიშვნელოვან სამიზნეებს ახალი სტრატეგიების შემუშავებისათვის ამ მდგომარეობათა სამკურნალოდ მართლაც, არსებობს მონაცემები, რომ NF-κB-ს აქტივობის ინჰიბიცია რევმატიული ართრიტის დროს (Foxwell et al , 1998) ან სწორი ნაწლავის ანთებითი დაავადების დროს (Neurath et al , 1996) წარმოადგენს საიმედო სტრატეგიას ამ დაავადებების სამკურნალოდ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ანთების მრავალი ინჰიბიტორი, როგორიცაა IL-10, გლუკოკორტიკოიდები, ასპირინი და FK506, ახდენენ მაინჰიბირებელ გავლენას NF-κB -ს

აქტივობაზე (Venkataraman et al ,1995, Wang et al , 1995, Yin et al , 1998) მიუხედავად ამისა, NF-κB ოჯახის სპეციფიკური წევრების როლი იმუნური პასუხების რეგულაციაში ხშირად ბუნდოვანი რჩება

თავი II

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტები:

ექსპერიმენტებში გამოყენებული იყო.

1 ადამიანის ლიმფოიდური Jurkat – ის ხაზის უჯრედები (კლონი E2),

2 ადამიანის პერიფერიული სისხლიდან (მოხალისე დონორებიდან) მიღებული T ლიმფოციტები

მასალები:

1 Anti-CD3 Mab(AnaSpec inc San Jose, CA),

2 PMA (Phorbol 12-Myristate 13-Acetate) (LC- Labs Inc Woburn MA)

3 დექსტრორფანი, ჰალოპერიდოლი, პენტაზოცინი, SKF-10047, ფენციკლიდინი, NMDA, AMPA

4 იმუნოფერმენტული ანალიზის ტესტ-სისტემა (BenderMedSystems),

5. ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივობის განსაზღვრის ტესტ-სისტემა (CLontech Inc CA)

ლიმფოიდური უჯრედების კულტივირება

ადამიანის ლიმფოიდური Jurkat –ის ხაზის უჯრედების კულტივირება ხდებოდა CO_2 ინკუბატორში 37^{0}C–ზე RPMI 1640 საკვებ არეში, რომელსაც დამატებული ჰქონდა 10% ხბოს ემბრიონული შრატი, 100ერთ/მლ პენიცილინი და 100მკგ/მლ 5%-იანი გენტამიცინი ჯრედებს ($1X10^7$ /მლ) გააქტიურების მიზნით ვრეცხავდით RPMI 1640-ით (დანამატების გარეშე), შემდეგ ვახდენდით რესუსპენზირებას 0.5 მლ ციტი RPMI 1640-ით, ვუმატებდით 2 მკგ/მლ ანტი-CD3-ს (AnaSpec,Inc. San Jose, CA) და ვახდენდით ინკუბაციას 15 წთ 0-4^{0}C–ზე ამის შემდგომ ვახდენდით უჯრედების ინკუბაციას 37^{0}C–ზე RPMI 1640-ით, რომელსაც დამატებული ჰქონდა 10% ხბოს ემბრიონული შრატი. შესაბამის სინჯებში საკვებ არეში ვამატებდით 10მკმოლი/ლ სიგმა-

ლიგანდებს ინკუბაცია ხდებოდა CO_2 ინკუბატორში 24 სთ-ის განმავლობაში

ადამიანის პერიფერიული სისხლიდან T-ლიმფოციტების მიღება

ადამიანის პერიფერიული სისხლიდან ლიმფოციტების მიღება ხდებოდა ფიკოლ-ვეროგრაფინის გრადიენტით სისხლს ვაზავებით 1.2 ფიზიოლოგიური ხსნარით ფიკოლ-ვეროგრაფინს ფრთხილად ვამატებდით განზავებულ სისხლს ვაცენტრიფუგებდით 40წთ 1200ბრ./წთ მიღებულ უჯრედებს ვრეცხავდით ორჯერ 10წთ 1500ბრ./ წთ უჯრედულ სუსპენზიას ვამატებდით საკვებ არეს RPMI-ს, 10% ხბოს შრატს, 0.3% გლუტამინს, 0.5% სტრეპტომიცინ/პენიცილინს ჯრედებს გააქტივების მიზნით ვამატებდით ანტი-CD3-ს (AnaSpec,Inc San Jose, CA) და PMA-ს (LC- Labs Inc) შესაბამის სინჯებში ვამატებდით 10მკმოლი/ლ სიგმა-ლიგანდებს და ვახდენდით ინკუბაციას 24სთ-ის განმავლობაში 37^0C–ზე, CO_2-ით მდიდარ ატმოსფეროში

უჯრედების და ბირთვების ექსტრაქციის მეთოდი

უჯრედების და ბირთვების ექსტრაქციის მიზნით გამოყენებული იქნა Dignam et al –ის მეთოდი (Dignam et al , 1983)

ადამიანის პერიფერიული სისხლიდან მიღებულ T-ლიმფოციტებს ვააქტიურებდით ($1.5X10^6$ /მლ) ანტი-CD3 (3მკგ/მლ) და PMA-თი (5მკგ/მლ) შესაბამის სინჯებში ვამატებდით 10მკმოლ/ლ სიგმა-ლიგანდებს და ვახდენდით ინკუბაციას 2სთ-ის განმავლობაში 37^0C–ზე, CO_2-ით მდიდარ ატმოსფეროში ინკუბაციის შემდგომ უჯრედების სუსპენზიას ვაცენტრიფუგებდით 5წთ. 450Xg-ზე უჯრედებს ვრეცხავდით ორჯერ ცივი PBS-ით 5წთ 450Xg-ზე ნალექს ვამატებდით 5-ჯერ მეტი მოცულობის Lysis Buffer-ს

Lysis Buffer

100mM Hepes (pH 7 9), 15mM $MgCl_2$,

100mM KCl, 0 1M DTT, პროტეაზების ინჰიბიტორები Aprotinin, Pepstatin A, Bestatin

ვახდენდით რესუსპენზირებას და 15წთ. ინკუბაციას 4^0C–ზე ჯრედების სუსპენზიას ვაცენტრიფუგებდით 5წთ 450Xg-ზე ნალექს ვასუსპენზირებდით Lysis Buffer–ში უჯრედების სუსპენზიაში მემბრანებს ვახიანებდით შპრიცით (#27 ნემსით) ამის შემდგომ ვაცენტრიფუგებდით 10000-20000Xg 20წთ ნალექის რესუსპენზირებას, ვახდენდით Extraction Buffer-ით ვამატებდით ნალექის მოცულობის 2/3-ის შესაბამის მოცულობა ბუფერს.

Extraction Buffer

20mM Hepes (pH 7 9), 1 5 mM $MgCl_2$

0 42M NaCl, 0 2mM EDTA, 25%(v/v) glycerol, 0 1M DTT პროტეაზების ინჰიბიტორები Aprotinin, Pepstatin A, Bestatin

შპრიცით ვახდენდით ბირთვების მემრანების დაზიანებას ბირთვების სუსპენზიას ვანჯღრევდით 30წთ 4^0C –ზე ამის შემდეგ ბირთვების სუსპენზიას ვაცენტრიფუგებდით 20000-21000Xg–ზე 5წთ სუპერნატანტში, რომელიც ბირთვების ექსტრაქტია ვზომავდით ცილის რაოდენობას. რეკომენდებული კონცენტრაციაა 5მკგ/მკლ

ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივობის ანალიზი

ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივობის განსაზღვრისათვის ადამიანის პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტებს ($1X10^6$/მლ) ვააქტიურებდით ანტი-CD3–ით და PMA (Phorbol 12-Myristate 13-Acetate) -თი ამის შემგომ შესაბამის სინჯებში, გარდა საკონტროლი სინჯისა, ვამატებით 10 მკმოლი/ლ სიგმა-ლიგანდებს და ვახდენდით ინკუბაციას 2სთ-ის განმავლობაში CO2 ინკუბატორში შემდეგ ვახდენდით ბირთვების ექსტრაქციას და შესაბამის ექსტრაქტში ვსაზღვრავდით ტრანსკრიპციული ფაქტორების (NF-kB, AP1, ATF2) აქტივობას კოლორიმეტრული ტესტ-სისტემის საშუალებით (CLontech ink, CA)

აზოტის ოქსიდის რაოდენობის განსაზღვრა

აზოტის ოქსიდის რაოდენობის განსაზღვრისათვის T-ლიმფოციტებს (1 X 10^7 1 მლ-ში) (Jurkat-ს ან პერიფერიული სისხლის ლიმფოციტებს) ვააქტიურებდით ანტი-CD3–ით ამის შემგომ შესაბამის სინჯებში, გარდა საკონტროლი სინჯისა, ვამატებით 10 მკმოლი/ლ სიგმა ლიგანდებს და ვახდენდით ინკუბაციას 24 სთ-ის განმავლობაში CO2 ინკუბატორში

NO-ს რაოდენობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით გრისის რეაგენტის დამატებით

იმუნოფერმენტული ანალიზი (ELIZA)

სინთეზირებული ციტოკინების რაოდენობის განსაზღვრისათვის T-ლიმფოციტებს (1 X 10^7/მლ-ში) (Jurkat-ს ან პერიფერიული სისხლის ლიმფოციტებს) ვააქტიურებდით ანტი-CD3–ით ამის შემგომ შესაბამის სინჯებში, გარდა საკონტროლი სინჯისა, ვამატებით 10 მკმოლი/ლ სიგმა-ლიგანდებს და ვახდენდით ინკუბაციას 24 სთ-ის განმავლობაში CO2 ინკუბატორში ინკუბაციის შემდეგ უჯრედების სუსპენზიას ვაცენტრიფუგებით 10წთ 3000Xg-ზე ციტოკინების რაოდენობას ვსაზრვრავდით სუპერნატანტში სტანდარტული იმუნოფერმენტული ანალიზის ტესტ-სისტემით (BenderMedSystems)

მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა One way Anova-ს პროგრამით ყოველი ექსპერიმენტიდან მიღებული მონაცემების ანალიზი ხდებოდა ცალ-ცალკე როდესაც ANOVA ანალიზით მიიღებოდა სარწმუნო მაჩვენებელი შედეგების შედარება ხდებოდა t-ტესტით

თავი III

მიღებული შედეგები და მათი განხილვა

3.1 სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ადამიანის T-ლიმფოციტების Jurkat–ის ხაზის უჯრედების მიერ IL-4-ის, γ-ინტერფერონის და აზოტის ოქსიდის სეკრეციაზე

სიგმა-ლიგანდებს ანთებისსაწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებთ, ამცირებენ IL-1-ის, IL-6-ის და γ-ინტერფერონის პროდუქციას და აძლიერებენ IL-10-ის სინთეზს (Bourrie et al , 2002, Derocq et al ,1995) ამიტომ სიგმა-აქტიური ნაერთები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული რიგი აუტოიმუნური და ანთებითი პათოლოგიების სამკურნალოდ (Ganapathy et al , 1999) აღიშნული და-ავადებების დროს, როგორც ცნობილია სისხლში მომატებულია γ-ინტერფერონის კონცენტრაცია, რაც იწვევს IP-10 ცილის INFγ–ინდუ-ცირებულ ექსპრესიას IP-10 არის ქემოქტრაქტანტების ოჯახის ცილა, რომელიც ასოცირებულია ანთებებთან და პროლიფერაციასთან ის განსაკუთ-რებით დიდი რაოდენობით სინთეზირდება ისეთი დაავადებების დროს როგორიცაა გაფანტული სკლეროზი, რევმატოიდული ართ-რიტი, ფსორიაზი, მიასტენია და სხვა (Sorensen et al ,1999, Patel et al ,2001, Romagnani et al 2002, Gottlieb et al , 1988) აქედან გამომდინარე კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სიგმა-ლიგანდების მოქმედება T-ლიმფოციტების მიერ γ-ინტერ-ფერონის სპონტანურ სეკრეციაზე T-ლიმფოციტების Jurkat-ის ხაზის უჯრედებს (IX10^7/მლ) ვამატებდით 10მკმოლ/ლ კონცენტრა-ციით სიგ-მა-ლიგანდებს და ვახდენდნით ინკუბაციას 24სთ-ის განმავლობაში CO2 ინკუბატორში

ექსპრიმენტში გამოყენებული სიგმა-ლიგანდები, პენტაზოცინი, ჰალო-პერიდოლი, SKF 10047, ფენციკლიდინი და დექსტრორფანი, სხვადა-

სხვა აფინურობით ხასიათდება სიგმა-1 რეცეპტორის მიმართ დადგენილია ზოგიერთი მათგანის დისოციაციის კონსტანტა (K_d) Jurkat-ის ხაზის უჯრედებში მაგალითად, ჰალოპერიდოლის - 3 9 ± 0 3 nM, (+) პენტაზოცინის - 12 ± 2 nM (Ganapathy et al., 1999).

ექსპრიმენტის შედეგად დადგინდა, რომ სიგმა-ლიგანდები პენტაზოცინი, ჰალოპერიდოლი, SKF 10047, ფენციკლიდინი და დექსტრორფანი სტატისტიკურად სარწმუნოდ ამცირებს γ-ინტერფერონის სპონტანურ სეკრეციას ადამიანის T-ლიმფოციტების Jurkat-ის ხაზის უჯრედებში შესაბამისად 33%, 30%, 44%, 20% და 39%-ით (სურ 1)

შემდგომ ეტაპზე შევისწავლეთ სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება IL-4-ის სპონტანურ სეკრეციაზე IL-4 არის ანთების საწინააღმდეგო ციტოკინი, რომელიც სინთეზირდება Th2 იმუნური უჯრედების მიერ და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმუნური პასუხების რეგულაციაში (Abbas et al , 1996)

Jurkat-ის ხაზის უჯრედებს შესაბამის სინჯებში ვუმატებით 10მკმოლ/ლ სიგმა-ლიგანდებს IL-4-ის სპონტანურ სეკრეციაზე სხვადასხვა ლიგანდი განსხვავებულად მოქმედებდა პენტაზოცინი, ჰალოპერიდოლი და ფენციკლიდინი IL-4-ის სინთეზზე გავლენას არ ახდენდნენ, მაშინ როცა SKF 10047 აინჰიბირებდა დაახლოებით 26%-ით, ხოლო დექსტრორფანი ასტიმულირებდა 29%-ით ამ ციტოკინის სინთეზსს (სურ 2)

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სიგმა-ლიგანდების მოქმედება აზოტის ოქსიდის სპონტანურ სეკრეციაზე სიგმა-აქტიური ნაერთები ცელის აზოტის ოქსიდის სინთეზს პენტაზოცინი და SKF 10047 ამცირებს აზოტის ოქსიდის სეკრეციას შესაბამისად 14% და 24%-ით,



სურ 1. სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება **Jurkat**-ის ხაზის უჯრედების მიერ γ-ინტერფერონის სპონტანურ სეკრეციაზე

1 – კონტროლი; 2 – პენტაზოცინი; 3 – ჰალოპერიდოლი;
4 – **SKF 10047**; 5 - ფენციკლიდინი; 6 – დექსტრორფანი.



სურ. 2 სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-4-ის სპონტანურ სეკრეციაზე.

1 – კონტროლი; 2 – პენტაზოცინი; 3 – პალოპერიდოლი; 4 – SKF 10047; 5 - ფენციკლიდინი; 6 – დექსტრორფანი.

ფენციკლინი არ ახდენს გავლენას მის სინთეზზე, ხოლო ჰალო-პერიდოლი და დექსტრორფანი აძლიერებს აზოტის ოქსიდის სინთეზსს შესაბამისად 17% და 18%-ით (სურ 3) ამასთანავე, ამ ნაერთის რაოდენობრივი ცვლილება კორელაციაშია IL-4-ის სეკრეციასთან კორელაციის კოეფიციენტი NO-ს დონესა და სეკრეტირებულ IL-4-ს შორის [r (NO/IL-4)] 0.702-ს უდრის, ეს მაჩვენებელი γ-ინტერფერონის შემთხვევაში [r(NO/IFN)] მხოლოდ 0 134–ს უდრის

მიღებული შედეგები იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი სიგმა-აქტიური ნაერთი ცვლის აზოტის ოქსიდის პროუქციას, რაც ერთის მხრივ იწვევს γ-ინტერფერონის სინთეზის შემცირებას, მეორეს მხრივ კი IL-4-ის პროდუქციის გაზრდას

IL-4-ის გენის ექსპრესია რეგულირდება ტრანსკრიპციის ფაქ-ტორით STAT-6-ით, რომლის აქტივობა იზრდება კალციუმის იონებით (Schmidt-Weber et al , 2000) გარდა ამისა ამ პროცესზე მოქმედებს უჯრედის რედოქს-სტატუსი, რამდენადაც კვერცეტინის ტიპის სკავენ-ჯერები ამცირებს IL-4-ის რაოდენობას და ზრდის γ-ინტერფერონის პროდუქციას უჯრედის ოქსიდაციური პოტენციალის გაზრდა NO-ს სინთეზის გაზრდის ხარჯზე ასევე ცვლის Th1/Th2 ციტოკინების ბა-ლანსს, რომელიც აღდგება უჯრედის რედოქს-სტატუსის ნორმა-ლიზების შემდგომ (RoozendaaL et al , 1999) ეს მონაცემები იმაზე მიუ-თითებს, რომ STAT-6-ის გააქტიურება და IL-4-ის გენის შემდგომი ექსპრესია დამოკიდებულია უჯრედშიდა კალციუმის კონცენ-ტრაციაზე და ლიმფოციტების ჟანგვა-აღდგენით პოტენციალზე და-მიანის ლიმფოციტების Jurkat–ის ხაზის უჯრედები შეიცავს სიგმა რეცეპტორების პირველ ტიპს (Ganapathy et al , 1999) საკარაუდოდ, ეს რეცეპტორები ლოკალიზებულია ენდოპლაზმურ რეტიკულუმზე და ლიგანდთან მიერთების შემდგომ ტრანსლოცირდება პლაზმური



სურ. 3. სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება **Jurkat**-ის ხაზის უჯრედების მიერ NO- ს სპონტანურ სეკრეციაზე.

1 – კონტროლი; 2 – პენტაზოცინი; 3 – ჰალოპერიდოლი;
4 – SKF 10047; 5 - ფენციკლიდინი; 6 – დექსტრორფანი.

მემბრანისკენ და ასტიმულირებს G-ცილას (Monassier et al., 2002) ამ უკანასკნელის გააქტივება იწვევს ფოსფოლიპაზა-C-ს გააქტიურებას, რაც ერთის მხრივ იწვევს ინოზიტოლ-3-ფოსფატის საშუალებით კალციუმის იონების ენდოპლაზმური რეტიკულუმიდან გამოთავისუფლებას და მეორეს მხრივ პროტეინკინაზა-C-ს საშუალებით სიგმა-რეცეპტორების დესენსიბილიზებას (Novakova et al , 1998) სიგმა-ნაერთების ამგვარი მოქმედებები განაპირობებს უჯრედშიდა მეტაბოლიზმის ტრანზიტორულ ძვრებს, რომელიც დაკავშირებულია კალციუმის იონების ქვანტურ გამოთავისუფლებასთან ეს ცვლილებები იწვევენ Ca–დამოკიდებული ფერმენტების დროებით გააქტივებას, მათ შორის - კონსტიტუციური NO სინთაზასი, რომელიც ცვლის რა უჯრედის რედოქს-სტატუსს, აძლიერებს ნიტროზილირებული რეგულატორული ცილების აქტივობას ეს უკანასკნელნი მოქმედებენ ტრანსკრიპციის ფაქტორზე STAT 6-ზე და იზრდება IL-4-ის გენის ექსპრესია მიღებული შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ სიგმა-აქტიური ნაერთები ციტოკინების სინთეზს აღნიშნული მექანიზმებით ცვლიან

3.2. სიგმა-აქტიური ნაერთის დექსტრორფანის და გლუტამატის რეცეპტორის აგონისტების მოქმედება Jurkat–ის ხაზის უჯრედების მიერ ციტოკინების (IL-6-, IL-8, IL-10) და აზოტის ოქსიდის სპონტანურ სეკრეციაზე

დექსტრორფანი არის დექსტრომეტორფანის ფარმაკოლოგიურად აქტიური მეტაბოლიტი, რომელსაც მსგავსი სტრუქტურა აქვს დექსტრომეტორფანი მედიცინაში გამოიყენება როგორც ხველების საწინააღმდეგო მოქმედების მქონე პრეპარატი როგორც დექსტრორფანი, ასევე დექსტრომეტორფანი არის NMDA რეცეპტორის ანტაგონისტი და სიგმა1 რეცეპტორის აგონისტი ამ აგენტების ხველების საწინააღმდეგო ეფექტი შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც NMDA, ასევე სიგმა რეცეპტორებით (Kamei et al , 1993)

დადგნილია, რომ ადამიანის ნორმალურ T-ლიმფოციტებში და ლიმფოიდურ (მათ შორის Jurkat –ის ხაზის) უჯრედებში ხდება იონოტროპული გლუტამატის, და მათ შორის NMDA-რეცეპტორების მაღალი ექსპრესია (Ganor et al , 2003), რომელთა ფუნქციაც ლიმფოციტებში დაუდგენელია T- ლიმფოციტების ინფილტრაცია ცნს-ში სხვადასხვა პათოლოგიების დროს მიმდინარეობს, რის გამოც საზურგტვინე სითხეში მიმდინარე გლუტამატის ცვლილებები შესაძლებელია აისახოს ლიმფოციტების აუტოაგრესიულობის გაძლიერებაში მაგალითად, გაფანტული სკლეროზის (Hemmer et al , 2002), ვირუსული ინფექციების (Tompkins et al , 2002), სხვადასხვა ეთიოლოგიის ენცეფალომიელიტების დროს ადგილი აქვს ინფილტრირებული ლიმფოციტების Th1-პასუხის გაძლიერებას და დაავადების სიმპტომატიკის დამძიმებას. ამიტომ ნეირონული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს, და მათ შორის გლუტამატს, რომლებიც შესაძლებელია პასუხისმგებელნი იყვნენ თავის ტვინში T-უჯრედების გააქტივების რეგულაციაზე, დიდი ფიზიოლოგიური და კლინიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ნერვული სისტემის ანთებითი პათოლოგიების ეტიოპათოგენეზში (Shrikant et al , 1996). ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე,

განდა მოსაზრება იმისა, რომ დექსტრორფანის იმუნომამოდულირებელი ეფექტი ადამიანის T-ლიმფოციტებში შესაძლოა განპირობებული იყოს მისი როგორც NMDA რეცეპტორებზე, ისე სიგმა-რეცეპტორებზე მოქმედებით (Кварацхелия и др., 2004)

ამ მოსაზრების გამოსარიცხად ან დასადასტურებლად ჩვენს წინაშე დაისახა ამოცანა შეგვესწავლა დექსტრორფანის და გლუტამატის რეცეპტორების აგონისტების მოქმედება Jurkat–ის ხაზის უჯრედების მიერ IL-6-ის, IL-8-ის, IL-10-ის და აზოტის ოქსიდის სპონტანურ სეკრეციაზე ამ მიზნით უჯრედებს ($1X10^7$/მლ-ში) ვამატებდით 10 მკმოლ/ლ დექსტრორფანს და გლუტამატის რეცეპტორის აგონისტებს NMDA-ს და AMPA-ს გარდა ამისა, უჯრედების შესაბამის სინჯებს დავამატეთ დექსტრორფანი და NMDA, დექსტრორფანი და AMPA, რათა შეგვესწავლა მათი კომბინირებული მოქმედება უჯრედების ინკუბაციას ვახდენდით CO2 ინკუბატორში 24 სთ-ის განმავლობაში გაირკვა, რომ როგორც დექსტრორფანი, ასევე NMDA და AMPA, როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომბინირებულად მოქმედებისას აძლიერებს NO-ს სინთეზს (სურ4). როგორც სურათიდან ჩანს Jurkat-ის ხაზის უჯრედებზე დექსტრორფანის დამატებისას NO-ს სინთეზი დაახლოებით 30%-ით იზრდება ხოლო NMDA-ს დამატებისას NO-ს სინთეზი დაახლოებით 50%-ით იზრდება კონტროლთან შედარებით, NMDA+დექსტრორფანის დამატებისას კი - დაახლოებით 70%-ით იმ შემთხვევაში თუ მოხდებოდა დექსტრორფანის კონკურენტული დაკავშირება NMDA-რეცეპტორებთან, ეს რიცხვი უნდა შემცირებულიყო, ვინაიდან დექსტრორფანი არის NMDA-რეცეპტორების ანტაგონისტი, მაგრამ ეს არ დაფიქსირდა აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დექსტრორფანი T-ლიმფოციტებზე მოქმედებისას უკავშირდება სიგმა-რეცეპტორებს და არა NMDA-რეცეპტორებს



სურ. 4. დექსტრორფანის და გლუტამატ-რეცეპტორების აგონისტების მოქმედება Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ NO-ს სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - დექსტრორფანი, 3 - NMDA,

4 - AMPA, 5 - NMDA+დექსტრორფანი, 6 - AMPA+ დექსტრორფანი.

სიგმა-აქტიური ნაერთის, დექსტრორფანის მოქმედებით ანთებითი ციტოკინის IL-8-ის სეკრეცია დაახლოებით 20%-ით შემცირდა გლუტამატის რეცეპტორის აგონისტების NMDA-ს და AMPA-ს დამატების შემთხვევაში კი პირიქით, IL-8-ის კონცენტრაცია შესაბამისად 20% და 10%-ით გაიზარდა დექსტრორფანის და NMDA-ს ერთდროულად დამატებისას IL-8-ას კონცენტრაცია, კონტროლთან შედარებით, დაახლოებით 15%-ით გაიზარდა, დექსტრორფანის და AMPA-ს ერთდროულად დამატებისას კი - 7%-ით

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დექსტრორფანის ეფექტი როგორც აზოტის ოქსიდის, ასევე IL-8-ის სინთეზზე განპირობებულია მისი დაკავშირებით სიგმა-რეცეპტორებთან და არა NMDA- რეცეპტორებთან წინააღმდეგ შემთხვევაში დექსტრორფანის და NMDA–ს კომბინირებული მოქმედებით უნდა მომხდარიყო IL-8-ს კონცენტრაციის მნიშვნელოვანი შემცირება კონტროლთან შედარებით, რამდენადაც დექსტრორფანი არის NMDA-რეცეპტორების ანტაგონისტი და უნდა შეესუსტებინა მისი გააქტიება ამავე ლოგიკით, დექსტრორფანის და AMPA-ს კომბინირებული მოქმედებისას, კონტროლთან შედარებით, უნდა შემცირებულიყო IL-8-ის სინთეზი აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დექსტრორფანი სიგმა-რეცეპტორებთან უფრო მეტ სელექტიურობას ავლენს, ვიდრე გლუტამატ-რეცეპტორებთან

ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ როგორც დექსტრორფანი, ასევე NMDA და AMPA ამცირებს IL-6-ის და IL-10-ის სინთეზს (სურ 6, 7). IL-6-ის და IL-10-ის სინთეზი არ არის დამოკიდებული უჯრედშიდა NO-ს კონცენტრციაზე, ვინაიდან NO-ს, IL-6-ის და IL-10-ის კონცენტრაციების სიდიდეებს შორის მნიშვნელოვანი კორელაცია არ დაფიქსირდა მიუხედავად ამისა, ამ ორი ციტოკინის გენების ექსპრესია, სავარაუდოდ, იდენტური რეგულატორული ფაქტორებით ხორციელდება, ვინაიდან, IL-6-ის და IL-10-ის კონცენტრაციების



სურ. 5. დექსტრორფანის და გლუტამატ-რეცეპტორების აგონისტების მოქმედება Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-8-ს სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - დექსტრორფანი, 3 - NMDA,
4 -AMPA, 5 - NMDA+დექსტრორფანი, 6 - AMPA+დექსტრორფანი.

სიდიდეებს შორის მაღალი დადებითი კორელაცია აღინიშნა - r(IL-6/IL-10)=0 69.

ამრიგად, სიგმა-რეცეპტორების აგონისტი დექსტრორფანი, ამცირებს ანთებითი ციტოკინების IL-6-ის და IL-8 ის სინთეზს ეს ცვლილებები მიმდინარეობს NO–ს კონცენტრაციის ზრდის ფონზე, რაც მიუთითებს სიგმა-ლიგანდების ეფექტურობაზე იმუნური პასუხების რეგულაციაში დადგინდა, აგრეთვე, რომ სიგმა-რეცეპტორების აგონისტი და NMDA-რეცეპტორების ანტაგონისტი – დექსტრორფანი T-ლიმფოციტებზე მოქმედებისას მეტ სელექტიურობას ავლენს სიგმა-რეცეპტორის მიმართ და მისი ეფექტი იმუნური პასუხების რეგულაციაში განპირობებულია სიგმა-აქტივობით.



სურ. 6. დექსტრორფანის და გლუტამატ-რეცეპტორების აგონისტების მოქმედება Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-6-ის სინთეზზე

1 - კონტროლი, 2 - დექსტრორფანი, 3 - NMDA, 4 - AMPA,
5 - NMDA+დექსტრორფანი, 6 - AMPA+ დექსტრორფანი.



სურ. 7. დექსტრორფანის და გლუტამატ-რეცეპტორის აგონისტების მოქმედება Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-10-ის სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - დექსტრორფანი, 3 - NMDA,
4 - AMPA, 5 - NMDA+დექსტრორფანი,
6 - AMPA+ დექსტრორფანი.

3.3 სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ადამიანის T-ლიმფოციტების მიერ ციტოკინების (IL-8, IL-10) და ანოტის ოქსიდის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სეკრეციაზე

IL-8 არის ქემოატრაქტანტების ოჯახის წევრი, რომელიც სინთეზირდება მონოციტების, მაკროფაგების, T-უჯრედების, NK და სხვა არალიმფოიდური ტიპის უჯრედების მიერ სხვადასხვა სტიმულზე საპასუხოდ ეს სტიმული შეიძლება იყოს IL-1, TNFα, მიტოგენი, ლექტინი, ანტი- CD3, PMA და ვირუსები (Hoch et al , 1996) IL-8 იწვევს T-ლიმფოციტების, ბაზოფილების და ნეიტროფილების გააქტივებას, ქემოტაქსისს და შეშუპებებს IL-8 აღმოჩენილია ფსორიაზულ ქერქში (Konstantinova et al , 1996), სინოვიალურ სითხეში რევმატოიდული ართრიტით დაავადებულებში (Koch et al , 1991) და მრავალი სხვა ანთებითი პათოლოგიების დროს რევმატოიდული ართრიტის დროს სინოვიოციტები ახდენენ დიდი რაოდენობით IL-6-ის და IL-8-ის სეკრეციას, რომელებიც იწვევენ სახსრის დაზიანებას (Georganas et al , 2000). ამრიგად, IL-8 მნიშვნელოვან პათოფიზიოლოგიურ როლს თამაშობს სხვადასხვა ანთებითი დაზიანებების განვითარებაში

ანთების საწინააღმდეგო ციტოკინი IL-10 ძირითადად სინთეზირდება Th2 იმუნური უჯრედების მიერ და დიდ როლს თამაშობს ქრონიკული და მწვავე ანთებითი პროცესების შესაზღუდად (Bogdan et al , 1991,1992) აუტოიმუნური დაავადებებისას, როგორც წესი, დარღვეულია Th1/Th2 ციტოკინების სინთეზის ბალანსი Th1 იმუნური პასუხების მხარეს ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი იმუნომამოდულირებელი თვისებების მქონე პრეპარატების შექმნა, რომელიც აღადგენს ამ ბალანსს სწორედ ასეთი თვისება აღმოაჩნდათ სიგმა-აქტიურ ნაერთებს სიგმა-ლიგანდი SR 31747 თრგუნავს ანტი-CD3 ანთებითი ციტოკინების პროდუქციას ენდოტოქსინით გააქტივებულ მაკროფაგებში და ამავე დროს აძლიერებს ანთების საწინააღმდეგო ციტოკინების სინთეზს (Derocq et al , 1995) შესწავლილია (+)-პენტა-

ზოცინის, ფენციკლიდინის, DTG-ს, PPP–ს და პალოპერიდოლის იმუნორეგულატორული თვისებები DTG-ს და პალოპერიდოლის მაღალი კონცენტრაცია NK უჯრედების პროლიფერაციის დათრგუნვას ახდენდა, მაშინ როდესაც (+)-პენტაზოცინს, (–)-პენტაზოცინს და PPP–ს ექვივალენტურ კონცენტრაციებში ეფექტი არ ჰქონდა (Carr et al , 1992)

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს წინაშე დაისახა ამოცანა შეგვესწავლა სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ადამიანის T-ლიმფოციტების მიერ IL-8, IL-10-ის და აზოტის ოქსიდის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სეკრეციაზე ამ მიზნით გამოვიყენეთ შემდეგი სიგმა-ლიგანდები დექსტრორფანი, (+)-პენტაზოცინი და სიგმა-რეცეპტორების ანტაგონისტი პალოპერიდოლი ადამიანის პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტები მიღებულ იქნა ფიკოლ-ვეროგრაფინის გრადიენტით. უჯრედებს გააქტივების მიზნით ვამატებდით ანტიCD3-ს ($1X10^7$/მლ უჯრედებს 3 მკგ/მლ ანტი-CD3-ს) ამის შემდეგ უჯრედებს ვამატებდით 10მკმოლ/ლ დექსტრორფანს, პენტაზოცინს და პალოპერიდოლს დექსტრორფანთან და პენტაზოცინთან კომბინირებულად უჯრედების ინკუბაციას ვახდენდით 24 სთ-ის განმავლობაში CO_2 ინკუბატორში 37^{0}C–ზე ცნობილია, რომ T-ლიმფოციტების ანტი-CD3-ით გააქტივების შედეგად ხდება Src ოჯახის პროტეინ კინაზების (PTK) ფოსფორილირება (Weiss et al ,1994), უჯრედშიდა Ca^{2+}-ის გამოთავისუფლების სტიმულირება, ციტოკინების სინთეზი და IL-2-ზე დამოკიდებული უჯრედების პროლიფერაცია (Meuer et al , 1983).

ჩვენს მიერ ნაჩვენებია, რომ სიგმა-ლიგანდები - როგორც დექსტრორფანი, ასევე პენტაზოცინი ამცირებენ ადამიანის T-ლიმფოციტების მიერ ანთებითი ციტოკინის IL-8-ს ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სეკრეციას შესაბამისად 28% და 22%-ით (სურ 8) ამავე დროს ორივე სიგმა-ნაერთი მნიშვნელოვნად აძლიერებს ანთების-საწინააღმდეგო ციტოკინის IL-10-ის სინთეზს შესაბამისად 65% და 58%-ით (სურ 9) ნაჩვენებია, აგრეთვე, რომ დექსტრორფანი, სიგმა-

რეცეპტორების ანტაგონისტ ნაერთთან - ჰალოპერიდოლთან კომბინაციაში მოქმედებისას აძლიერებს IL-8-ს სინთეზს და თრგუნავს IL-10-ის სეკრეციას. იგივე ეფექტი გამოირდა პენტაზოცინის და ჰალოპერიდოლის ერთობლივი მოქმედების შედეგად (სურ 8, 9)

სიგმა-აქტიური ნაერთები - დექსტრორფანი და პენტაზოცინი ამცირებენ ლიმფოციტების მიერ აზოტის ოქსიდის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სინთეზს აზოტის ოქსიდი (NO) არის თავისუფალი რადიკალი, რომელიც კრიტიკულ როლს თამაშობს ფიზიოლოგიური და პათოფიზიოლოგიური პროცესების სასიგნალო სისტემების განვითარებაში (Moncada et al ,1991) კონსტიტუციური NO-სინთაზა (cNOS) ასინთეზირებს NO-ს პიკომოლარული კონცენტრაციით L-არგინინიდან უჯრედშიდა სიგნალებისათვის, მაშინ როცა ინდუცებელური NO-სინთაზას(iNOS) საშუალებით გენერირდება NO-ს მაღალი კონცენტრაცია ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ასოცირდება ანტებებთან და შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს უჯრედებს და ქსოვილებს (Chantry et al , 1990) როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს დექსტრორფანის მოქმედებით NO-ს კონცენტრაცია დაახლოებით 56%-ით შემცირდა, ხოლო პენტაზოცინის მოქმედებით კი-48%-ით როგორც დექსტრორფანი, ასევე პენტაზოცინი ჰალოპერიოლთან კომბინაციაში მოქმედებისას აძლიერებს NO-ს სინთეზს (სურ. 10) ამ შედეგებიდან გამომინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიგმა-რეცეპტორის ანტაგონისტი – ჰალოპერიდოლი ამცირებს დექსტრორფანის და პენტაზოცინის ეფექტს როგორც აზოტის ოქსიდის, ასევე IL-8 და IL-10-ის შემთხვევაში



სურ. 8. სიგმა-ლიგანდების მოქმედება T-ლიმფოციტების მიერ IL8-ს ანტი-CD3-ით ინდუცირებული სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - კონტროლი+ანტი-CD3, 3 - დექსტრორფანი,
4 - დექსტრორფანი+ჰალოპერიოლი, 5 - პენტაზოცინი,
6 - პენტაზოცინი+ჰალოპერიოლი.



სურ. 9. სიგმა-ლიგანდების მოქმედება T ლიმფოციტების მიერ IL-10-ის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - კონტროლი+ანტი-CD3, 3 - დექსტრორფანი,
4 - დექსტრორფანი+ჰალოპერიოლი, 5 - პენტაზოცინი,
6 - პენტაზოცინი+ჰალოპერიოლი



სურ. 10. სიგმა-ლიგანდების მოქმედება T-ლიმფოციტების მიერ აზოტის ოქსიდის ანტი-CD3-ით ინდუცირებულ სინთეზზე.

1 - კონტროლი, 2 - კონტროლი+ანტი-CD3, 3 - დექსტრორფანი,
4 - დექსტრორფანი+ჰალოპერიოლი, 5 - პენტაზოცინი,
6 - პენტაზოცინი+ჰალოპერიოლი.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა სიგმა-ლიგანდების, დექსტრორფანის და პენტაზოცინის, მოქმედება ანტი-CD3-ით გააქტივებული ლიმფოიდური Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ ციტოკინების, IL-8 და IL-10-ის, სეკრეციაზე ამ მიზნით უჯრედებს (10^6/მლ) ვაინკუბირებდით ანტი-CD3-ით (3მკგ/მლ) და შესაბამის სინჯებში ვამატებდით 10მკმოლ/ლ სიგმა ლიგანდებს როგორც სურ 11-იდან ჩანს სიგმა-აქტიური ნაერთები, როგორც დექსტრორფანი, ასევე პენტაზოცინი, ამცირებს IL-8-ს სინთეზს ამასთან, დექსტრორფანის დამატების შემთხვევაში IL-8-ს სეკრეცია მცირდება 14%-ით, ხოლო პენტაზოცინის დამატების შემთხვევაში კი 26%-ით

ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ სიგმა-აქტიური ნაერთები, როგორც დექსტრორფანი, ასევე პეტაზოცინი აძლიერებენ ანტი-CD3-ით გააქტივებული Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ ანთებისსაწინააღმდეგო ციტოკინის IL-10-ის სინთეზს (სურ 12) როგორც მიღებული შედეგებიდან ჩანს, დექსტრორფანი დაახლოებით 15%-ით აძლიერებს IL-10-ის სინთეზს, მაშინ როცა პენტაზოცინის შემთხვევაში ეს ციფრი 29%-ია როგორც ჩანს Jurkat-ის ხაზის უჯრედებში პენტაზოცინის მოქმედების ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე დექსტრორფანისა ეს ლოგიკურიც არის, ვინაიდან პენტაზოცინი უფრო მეტ სელექტიურობას ავლენს სიგმა რეცეპტორის მიმართ, ვიდრე დექსტრორფანი (Ganapathy et al., 1999). თუმცა ადამიანის პერიფერიული სისხლის უჯრედებში იგივე ნაერთების მოქმედებისას, დექსტრორფანისა და პენტაზოცინის ეფექტებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება

ამრიგად, სიგმა-აქტიური ნაერთები ამცირებენ ილ-8-ს სინთეზს და ამავე დროს აძლიერებენ IL-10-ის სეკრეციას, როგორც ადამიანის პერიფერიული სისხლის T-ლიმფოციტებში, ასევე Jurkat-ის ხაზის უჯრედებში ეს ცვლილებები მიმდინარეობს აზოტის ოქსიდის კონცენტრაციის შემცირების ფონზე ნათელია, რომ სიგმა-აქტიური



სურ.11. სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ანტი-CD3-ით გააქტივებული Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-8-ს სინთეზზე

1. კონტროლი, 2. კონტროლი+ანტიCD3, 3. დექსტრორფანი, 4. პენტაზოცინი



სურ.12. სიგმა-აქტიური ნაერთების მოქმედება ანტი-CD3-ით გააქტივებული Jurkat-ის ხაზის უჯრედების მიერ IL-10-ს სინთეზზე

1. კონტროლი, 2. კონტროლი+ანტიCD3, 3. დექსტრორფანი, 4. პენტაზოცინი

ნაერთები შესაბამისი რეცეპტორების საშუალებით ჩართულნი არიან უჯრედების ძირითადი მეტაბოლური პროცესების რეგულაციაში

შესწავლილია ადამიანის T ლიმფოციტების უჯრედშიდა სიგნალების კასკადები უჯრედების გააქტიურების დროს ლიმფოციტების საბოლოოდ გასააქტივებლად აუცილებელია შემდეგი კასკადები. პროტეინკინაზა C-ს გააქტივება, რომელიც იწვევს რიგი ციტოპლაზმური პროტეინების ფოსფორილირებას და საბოლოოდ Fos/Jun ტრანსკრიპციული ფაქტორების საშუალებით სხვადასხვა გენების ტრანსკრიპციას (Flanagan et al, 1991) მეორე კასკადი არის Ca^{2+}-ის იონების გახანგრძლივებული შესვლა უჯრედებში უჯრედშორისი არედან ამ პროცესს მოჰყვება გენების ტრანსკრიპცია NF-AT ტრანსკრიპციული ფაქტორების გააქტივების საშუალებით (Rao, 1997; Crabtree et al, 1999) T-უჯრედების ძირითადი ციტოკინის IL-2-ის სინთეზისათვის აუცილებელია კასკადების ორივე გზა

ადამიანის T-ლიმფოციტებში და Jurkat-ის ხაზის უჯრედებში Ca^{2+}-ის იონების შესვლა ხორციელდება Ca^{2+}-ის არხების (CRAC) საშუალებით (Zweifach et al, 1993) იონების მოძრაობა ღია არხებში ხორციელდება ელექტროქიმიური გრადიენტით T-უჯრედების სტიმულაციისა და CRAC-ის არხების გახსნის შემდეგ, ელექტროქიმიური გრადიენტის თანახმად, ხდება Ca^{2+}-ის იონების დიდი რაოდენობის შესვლა უჯრედებში თუმცა ამას შესაძლოა მოჰყვეს პლაზმური მემბრანის დეპოლარიზაცია და Ca^{2+}-ის იონების ნაკადის შეზღუდვა. იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს Ca^{2+}-ის იონების შეესა უჯრედში იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია გენების ტრანსკრიპციისათვის, საჭიროა კათიონების გამოსვლა უჯრედიდან. K^+-ის იონების გასვლა K^+-ის არხებით უზრუნველყოფს მემბრანული პოტენციალის რეგულირებას და Ca^{2+}-ის იონების შეესას უჯრედში (Lewis et al, 1995)

Jurkat-ის უჯრედებში ექსპრესირდება ორი განსხვავებული K^+-ის არხი პირველი არის K_V (voLtage-gated K^+), ხოლო მეორე კი - K_{Ca} (Ca^{2+}

- activated K^+) K_V და K_{Ca}-ის ექსპრესიის დონე ერთნაირია *Jurkat*-ის უჯრედებში და მიტოგენით გააქტივებულ ადამიანის T-უჯრედებში ორივე არხის ბლოკადა ეფექტურად აინჰიბირებს ლიმფოციტების მიტოგენ დამოკიდებულ აქტივაციას სავარაუდოდ, ამის მიზეზია მემბრანის დეპოლარიზაციის ინდუცირება და Ca^{2+}-ის იონების შეულის შეზღუდვა (Lewis et al , 1995) ადამიანის T-უჯრედებში K_{Ca}-არხის ბლოკატორებს შესაძლოა ჰქონდეთ კომპლექსური ეფექტი ციტოკინების გენების ექპრესიაში მართლაც Ca^{2+}-ის იონების შესვლის შეზღუდვა დაფიქსირებულია Th2 უჯრედებში Th1 უჯრედებთან შედარებით (Fanger et al , 2000).

ცნობილია სიგმა-რეცეპტორების როლი K^+-ის არხების, ამასთან როგორც K_V ასევე K_{Ca} რეგულაციაში (Soriani et al , 1998, Aydar et aL , 2002, Zhang et al , 2005) სიგმა-ლიგანდები - პენტაზოცინი, იგმეზინი და DTG აინჰიბირებს K^+-ის არხებს სიმსივნურ უჯრედებში და ზედაპირის უჯრედების პროლიფერაციას ჯერჯერობით უცნობია ის მექანიზმები, რომლითაც ხდება სიგმა-ლიგანდების მიერ კალციუმის არხების დაბლოკვა შესაძლოა ეს ხდებოდეს პირდაპირი პროტეინ-პროტეინის ურთიერთქმედების შედეგად ან დამატებით, შუალედური მოლეკულების საშუალებით (Adrien Renaudo et al., 2004)

ჩვენს მიერ მიღებული შედეგები - სიგმა ლიგანდების მოქმედებით IL-8 და აზოტის ოქსიდის სეკრეციის დათრგუნვა და IL-10-ის სინთეზის გაძლიერება T-ლიმფოციტებში შესაძლოა ზემოთაღწერილი მექანიზმებით მიმდინარეობდეს

3.4 სიგმა-აქტიური ნაერთების გავლენა ტრანსკრიპციის მარეგულირებელი ფაქტორების აქტივობაზე ადამიანის პერიფერიული სისხლის T ლიმფოციტებში

ტრანსკრიპციის ფაქტორები მცირე ზომის ცილებია, რომლებიც მონაწილეობენ გენების ექსპრესიის რეგულაციაში დღეისათვის მეტ-ნაკლებად კარგად არის შესწავლილი NF-κB და AP-1-ის ტრანსკრიპ-ციული ფაქტორების ოჯახის წევრი ცილები ორივე მათგანი მონა-წილეობს იმუნური პასუხების რეგულაციაში NF-κB-ს ინდუ-ციბელური გააქტივება იწვევს ისეთი ქრონიკული ანთებითი პროცე-სების განვითარებას როგორიცაა, ათეროსკლეროზი, გაფანტული სკლეროზი და სხვა (Tak et al , 2001) NF-κB-ს აქტივობის გაძლიერ-ებისას ხდება ანთებითი მედიატორების, IL-1, IL-6, IL-8, TNF-α, COX-2 და iNOS –ის, გენების ტრანსკრიპციის ინდუცირება. აქედან გამომ-დინარე დიდი მნიშვნელობა აქვს NF-κB-ს მაინჰიბირებელი საკურ-ნალო პრეპარატების შექმნას ასეთი პრეპარატების რიცხვს მიეკუთვნ-ება პირველ რიგში გლუკოკორტიკოიდები (Auphan et al , 1995), არა-სტეროიდული ანთების საწინააღმდეგო წამლები (ასპირინი, შალი-ცილატები) (Pierce at al , 1996), იმუნოსუპრესორული აგენტები, მაგა-ლითად, Cyklosporin A და FK-506 (Frantz et al ,1996) თითოეული მათგანი სხვადასხვა მექანიზმებით ახდენს NF-κB-ს აქტივობის დათრგუნვას, თუმცა ასეთი პრეპარატებით ხანგრძლივი მკურნალობის შემთხვევაში მაინც რჩება გვერდითი ეფექტების პრობლემა, მაგ, ღვიძლის დის-ფუნქცია, ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები და სხვა (Lavon et al , 2000) სიგმა-აქტიური ნაერთების გავლენით ანთებითი ციტო-კინების სეკრეციის დათრგუნვა და ანთების საწინააღმდეგო ციტო-კინების სეკრეციის გაძლიერება (Derocq et al, 1995, Bourrie et al, 1995) სავარაუდოდ, ტრანსკრიპციის ფაქტორების აქტივობის გაძლიერების ან დათრგუნვის შედეგია სიგმა-ლიგანდების გავლენა ცალკეული ტრანსკრიპციული ფაქტორების აქტივობაზე კარგად არ არის შესწავ-

